სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 28 სექტემბერი 2006 №224 (2846) ფასი 50 თეთრი

დროგბას ტრიგბა

ტოტის 30 ჩაუმწარდა, ძანეტის 500

AFP სოფიიდან

ზიგი და ზაგი ან რამე ამგვარი

გუშინ შვეიცარიისა და ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციათა პრეზიდენტებმა რალფ ცლოკცოუერმა და ფრიდრიხ სტიკლერმა ვენაში საზოგადოებას ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის თილისმები წარუდგინეს, ოღონდ ეგაა, თილისმებს ჯერ სახელები არ ჰქვიათ. არის ვარიანტები: ზიგი და ზაგი, ფლიტცი და ბიტცი, ტრიქსი და ფლიქსი, მაგრამ საბოლოო სიტყვას ფეხბურთის მოყვარულები ინტერნეტის საშუალებით იტყვიან. უსახელოები ჩვენც თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს.

AFP ფოტოდან

პენალტებს პენალტს ურტყამენ

ფეხბურთელებს ჯიბეზეც ურტყამენ?

ოთხი წლის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გაიმართება, გამარჯვებულის ბედს პენალტები აღარ გადაწყვეტს! არა, ეს ამბავი ბეჭედდასმული არ გეგონოთ, მანამდე ჯერ შორია, მანამდე ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჯერ ის არის მოსაფიქრებელი, რამ უნდა შეცვალოს მატჩისშემდგომი პენალტების სერია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახალ მეთოდსაც მონახავენ და ლატარიად წოდებულ ხერხსაც გააუქმებენ.

ამ საკითხებზე გუშინ, არც მეტი, არც ნაკლები, ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ციურიხში მოწყობილ კომერციის პალატაში ისაუბრა.

„ჩვენ მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატამდე კიდევ ოთხი წელი გვაქვს, ეს კი, ჩემი აზრით, საკმარისი დროა“ — ბრძანა პრეზიდენტმა, რომლის კლასიფიკაციით, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ვნებაა, დამატებითი დრო დრამა, პენალტების სერია კი ტრაგედია. შემდეგ პრეზიდენტმა დასძინა:

„ფეხბურთი სპორტის გუნდური სახეობაა, პენალტებს კი გუნდურობისა არაფერი სცხია, ეს ინდივიდუალური მოვლენაა“.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი მატჩისშემდგომი პენალტები ხალხმა 1982 წელს იხილა, როდესაც გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ნახევარფინალში საფრანგეთს მოუგო.

ახლა კი იმის შესახებ, თუ სავარაუდოდ რითი აპირებენ პენალტების შეცვლას: ჯერჯერობით ფიქრობენ ორ ძირითად ვარიანტზე. ერთი გადათამაშება გახლავთ, თუმცა მას თავისი ნაკლი აქვს — ახალი მატჩისთვის შეჯიბრების მსვლელობისას დრო უნდა გამოინახოს, ეს კი იოლი საქმე არ გახლავთ. ხოლო მეორე ვარიანტი დამატებით დროში თანდათანობით გუნდებისთვის ფეხბურთელების გამოკლებაა. გაკვრით ითქვა „ოქროს გოლზეც“...

და კიდევ, იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ ფეხბურთელებისთვის ისეთი ხელფასების გადახდა, როგორსაც, უპირველეს ყოვლისა, ინგლისურ პრემიერლიგასა და რამდენიმე წამყვან ჩემპიონატში იხდიან, უზნეობაა. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ასეთი არანორმალური ხელფასების გადახდის შემდეგ კლუბები ყველაფერს აკეთებენ, რათა დანახარჯი აინაზღაურონ და, მაგალითად, სტადიონზე ბილეთების ფასებს მაღლა სწევენ. ბლატერს მიაჩნია, რომ საქმეში აუცილებლად უნდა ჩაერიოს ფიფა და სტადიონის ბილეთების ფასი გარკვეული მაჩვენებლის ზემოთ აღარ გაუშვას, თორემ მალე ხალხი ამდენ ფულს ველარ გადაიხდის და სტადიონები შეიძლება სანახევროდ ცარიელი დარჩეს, ასეთი კადრების ჩვენება კი აღარც ტელეარხებს მოუნდებათ.

დავით მუჯირის შანსი: 50/50

ბაფრი ჯეილანის ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სამარის „კრილია სოვეტოვის“ ტრავმირებული შემტევი შუახაზელი დავით მუჯირი თბილისში რომ არის, უკვე გაუწყეთ. გუშინ კი თავად მუჯირს გამოვკითხეთ ჯანმრთელობის ამბავი — ის ნაკრებში 7 ოქტომბერს გერმანიასთან და 11 ოქტომბერს იტალიასთან მატჩებისთვისაა გამოძახებული და ჯერაც გაურკვეველია, მოასწრებს თუ არა ამ შეხვედრებისთვის გამოჯანმრთელებას — მუჯირს მარჯვენა მუხლის გარე მყესები აქვს დაზიანებული...

— ეს ისეთი ტრავმაა, ექიმებისთვისაც რთულია, დაადგინონ, დაახლოებით რამდენ დღეში გამოვჯანმრთელდები, თუმც ტრავმა სერიოზული არაა. როგორც უნდა იყოს, ნაკრების გერმანულ შეკრებაზე მაინც წავალ. რაც შეეხება მკურნალობას, ექიმები სხივებს და შეზელვებს მიკეთებენ. ნაკრების ექიმები უფრო იზრუნებენ ჩემზე და ამიტომაც ჩამოვედი თბილისში. თუმც მადლობელი ვარ „კრილიასიც“, რომ გამომიშვა. მოკლედ, ახლა მხოლოდ ვმკურნალობ, ჯერ არანაირი დატვირთვა არ შეიძლება. ჩემი გერმანია-იტალიასთან თამაშის შანსი 50/50-ზეა — გვითხრა მუჯირმა.

დავით თავართქილაძე

უცნაურია, მაგრამ ფაქტია

ბაფრი ჯეილანის ფოტო

გუშინ „დინამო“ — „ოლიმპის“ მატჩის შემდეგ დინამოელთა ჩეხ დამრიგებელ დუშან უჰრინს ვკითხეთ — დინამოელი შოთა გრიგალაშვილი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული და როგორ დაახასიათებდით მას? უჰრინის პასუხი: „ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო“.

უჰრინის მსგავსად, ჩვენც გვეუცნაურა, რატომ გამოიძახა კლაუს ტოპმიოლერმა ისეთი ფეხბურთელი, ვისაც კარგა ხანია, თავის კლუბში არ უთამაშია და ვინც „დინამოს“ ბოლო მატჩებში 18-კაციან განაცხადშიც კი არ იყო შეყვანილი.

გრიგალაშვილი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მართლაც ერთ-ერთი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ არც ერთთვიანი უთამაშებლობაა ფუყე არგუმენტი საიმისოდ, რომ თვით „დინამოს“ მწვრთნელსაც გაუკვირდეს მისი ფეხბურთელის ეროვნულ ნაკრებში გამოძახება.

დავით თავართქილაძე

კობის ფეხი არ ასვენებს

ლევან კობიაშვილის საქმე ისევ ჭაკადაა: „შალკეს“ გუშინდელ ვარჯიშზე ჩვენიანს ფეხის ტრავმა გაუმიზეზდა და ითამაშებს თუ არა დღეს საუეფასთასო მატჩში, საკითხავია. შეგახსენებთ, „შალკემ“ შინ 1:0 მოუგო ფრანგულ „ნანსის“ და დღეს საპასუხო შეხვედრა ელის.

„შალკეს“ თავკაცმა მირკო სლომკამ გუშინ თქვა, კობიაშვილს თამაშის დღეს დილის ვარჯიშზე მსუბუქად ვარბენინებ და მერე გადავწყვეტ, „ნანსისთან“ გავიყვან თუ არაო.

„შალკე“ კი მიხედავს თავის თავს, ჩვენ საქართველოს ნაკრები ვიკითხოთ. მართალია, ლევანი 11 ოქტომბერს იტალიასთან მატჩს ისედაც ტოვებს, მაგრამ მანამდე, 5 და 7 ოქტომბერს ხომ ამხანაგური ები ელის — იმედია, კობის ტრავმა სერიოზული არ იქნება...

ლუკა თალაკვაძე

ნეტავ, მანდილი ჩაეგდო ვინმეს...

საქართველოს ქალ ფეხბურთელთა 19-წლამდელთა ნაკრები ევროშესარჩევ ციკლში რომ აპირებდა მონაწილეობას, ადრეც გაუწყეთ. შესარჩევ ტურნირს მაკედონია მასპინძლობს და ჩვენმა გოგონებმაც გუშინწინ პირველი მატჩი გამართეს ავსტრიელ თანატოლებთან. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში მეტოქის გამარჯვებით დასრულდა — 0:10. პირველი ტაიმი 0:4 დასრულდა, მეორე კი 0:6. ავსტრიელთაგან ჰეთ თრიქით გამოირჩა შტრაუხსი.

ჯგუფის მეორე მატჩში ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა გერმანიამ მაკედონიას 7:0 სძლია.

დღეს ქართველი გოგონები გერმანელებს ხვდებიან და...

ძახა ზალამბერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

იტალიური პროტოკოლი

დონადონის რა, სად, როდის

გუშინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მოახლოებული ორი შესარჩევი მატჩისთვის „სკუადრა აძურას“ სამზადისის გეგმა გამოქვეყნდა.

გეცოდინებათ, მსოფლიოს ჩემპიონები 7 ოქტომბერს რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებენ, ოთხი დღის შემდეგ კი თბილისში საქართველოს ეროვნულ გუნდს დაეჯიდებიან.

იტალიის ნაკრების მწვრთნელი რობერტო დონადონი საამმატჩებო რჩეულთა ვინაობას 1 ოქტომბერს დაასახელებს. „სკუადრა აძურა“ შეკრებას 2 ოქტომბერს ფლორენციის გარეუბან კოვერჩანოში დაიწყებს და პირველი ვარჯიშიც თბილისის დროით საღამოს 6 საათზე გაიმართება.

ქვემოთ სწორედ იტალიის ნაკრების მზადების გეგმას გაეცნობით, საათები კი ჩვენი დროითაა მოცემული...

2 ოქტომბერი

17.00: შეკრება კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე. რობერტო დონადონის პრესკონფერენცია
18.00: პირველი ღია ვარჯიში

3 ოქტომბერი

12.30: დილის ღია ვარჯიში
15.30: ფეხბურთელთა პრესკონფერენცია, დასვენება
18.00: საღამოს დახურული ვარჯიში

4 ოქტომბერი

12.30: დილის დახურული ვარჯიში
18.00: ორმხრივი თამაში

5 ოქტომბერი

15.00: ფეხბურთელთა პრესკონფერენცია
17.30: ღია ვარჯიში

6 ოქტომბერი

17.00: გამგზავრება რომში
20.00: ღია ვარჯიში „სტადიო ოლიმპიკოზე“ და პრესკონფერენცია

7 ოქტომბერი

22.50: ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩი უკრაინასთან

8 ოქტომბერი

13.30: დილის ღია ვარჯიში „სტადიო ოლიმპიკოზე“, რობერტო დონადონის პრესკონფერენცია

9 ოქტომბერი

12.30: გამგზავრება რომის აეროპორტში და ჩარტერული რეისი თბილისში
16.20: ჩაფრენა თბილისის აეროპორტში და დაბინავება „შერატონ მეტეხი პალასში“
19.30: ღია ვარჯიში

10 ოქტომბერი

18.00: ღია ვარჯიში თბილისის ეროვნულ სტადიონზე

11 ოქტომბერი

22.00: ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩი საქართველოსთან
02.30: გამგზავრება თბილისის აეროპორტში და ჩარტერული რეისით რომში გაფრენა

ინგლისი

I ლიგა. XI ტური
ჩესტერფილდი 0:1 სკანთორპი

II ლიგა. XI ტური
ბოსტონი 1:0 ლინკოლნი
როვერსი 2:1 ჰერეფორდი
რეძსემი 1:2 როჩდეილი

სლოვენია

I ლიგა
XI ტური
პრიმორიე 3:1 ფაძტორი
ნაფტა 2:0 ნოვა გორიცა
კოპერი 1:0 დრავა პტუი
მარიბორი 3:0 ბელა კრაინა
დომძალე 0:0 პუბლიკუმი

შოტლანდია

ჩელენჯ ქაფი. 1/2 ფინალი
კლაიდი 3:1 მორტონი
როსი 4:1 ალბიონი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. IX ტური
ვადუცი 3:3 ივერდონი

ფინეთი

თასის 1/4 ფინალი
ტურკუ 1:0 კუოპიო

დანია

თასის 1/16 ფინალი
ფრემი 0:1 ესბიერგი

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

თამაში შესვენებამდე

ბადრი კვირკელიას ფოტო

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. ამერი. 900 მაყურებელი

ამერი 2:0 ზესტაფონი

1:0 დოლიძე (10), 2:0 დავითაშვილი (38)

ამერი	ზესტაფონი
ქვაჩახია, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე (კედელაშვილი 75), სევასტოპულო, დოლიძე (ჯელაძე 61), დობროვოლსკი (გაბისკირია 58), ს. დავითაშვილი, დეკანოსიძე	ზესტაფონი: გ. ჭანტურია, საჯაია, შ. ღონღლაძე, ს. თოდუა, ძამსაშვილი, დაუშვილი, გ. თურმანიძე (გიორგიძე 86), ბ. ნოზაძე, გ. ჭელიძე, ფიფია (ძარია 70), იმედაძე (იონანიძე 46)
სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, ნიკოლაიშვილი, სილაგავა	სათადარიგონი: ჯალაღონია, კ. ჩხეტიანი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე	მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: დიდავა (84)

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ა. გუნთაძე

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

მატჩს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიც დაესწრო

კობა ინასარიძე

რევანში არ შედგა, თბილისის „ამერმა“ ულაპარაკოდ, ზედმეტი პრობლემების გარეშე მოიგო და თასის გათამაშების ჯგუფში გალიდერდა.

ისე, ეს მატჩი სხვა შედეგითაც რომ დამთავრებულიყო, მაინც ვერ ვიტყოდით, რევანში იყო. 13 მაისს „ამერმა“ „ზესტაფონს“ თასის ფინალში მოუგო, გუშინდელი შეხვედრა კი წლევანდელი ექსპერიმენტული ფორმატის ოდენ მეორე მატჩი გახლდათ და ამ გუნდებს მომდევნო ეტაპამდე კიდევ ოთხ-ოთხი თამაში ელით, მათ შორის ერთი ერთმანეთში, ოღონდ ზესტაფონში.

და მაინც, როგორც უნდა ყოფილიყო, პრინციპული მეტოქეების მატჩს თავისი ინტრიგა და მნიშვნელობა არც ახლა აკლდა და ალბათ ამიტომაც გამოვიდა ასეთი საინტერესო და დაძაბული თამაში.

დღეიდან საქართველოში სანაკრებო შესვენებაა, ხოლო განახლებამდე „ამერმა“ და „ზესტაფონმა“, შეიძლება ითქვას, ერთმანეთს ბოლო ძალები შეალიეს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ორივე გუნდს ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები აკლდნენ, ისინი კი თავისიანებს ტრიბუნიდან ქომაგობდნენ.

„ამერი“ დასაწყისშივე დაწინაურდა, მაგრამ გატანა იქამდეც შეეძლო — საჯარიმოდან ატანილ ბურთს გრიგოლ დოლიძემ შეუჩერებლად ისეთი დაჰკრა, ხარიხა შეაზანზარა, ასხლეტილი ბურთი ზესტაფონელ მეკარე გრიგოლ ჭანტურიას ზურგზე მოხვდა და გოლის მომლოდინე ტრიბუნაც აგუგუნდა — ბურთი კარის ხაზზე გაგორდა და ძელთან გაჩერდა...

თუმცა „ყვითლებმა“ საგოლე საქმე არ გააჭიანურეს: მოედნის შუიდან გიორგი დეკანოსიძემ ორმცველს შუა ჩინებული პასი მისცა დოლიძეს, ვისაც მეკარესთან მიახლოება არც უცდია, ბურთი ერთი შეხებით გაისწორა და ჰაერშივე ცაციათი ზუსტად დაარტყა. გოლი ლამაზი გამოვიდა და უფრო კარგი კომბინაცია იყო.

ხშირად ხდება ხოლმე, სწრაფი გოლის შემდეგ თამაში რომ აირევა და გოლის გამტანის უპირატესობა მთელი მატჩისას თვალშისაცემია. გუშინ სხვანაირად იყო. დაწინაურებულმა „ამერმა“ შეტევებს უკლო, დაცვაც მეტ-ნაკლებად უფრო გაამაგრა და მეტოქის შეცდომას დაელოდა. გოლის მერე ნახევარ საათს ბურთს „ზესტაფონი“ აკონტროლებდა და გრიგოლ იმედაძემ ზურაბ ქვაჩახიას ორჯერ ძალიან სახიფათოდაც დაურტყა — მეკარემ ორჯერვე ივარგა.

მასპინძლებმა კი თავისი შანსი ტაიმის მიწურულს მიიღეს და მეორეც გაიტანეს, პირველზე არანაკლებ ლამაზი გოლი. ისევ მოედნის შუიდან, ოღონდ დავით ბოლქვაძემ, მცველების ზურგსუკან სულიკო დავითაშვილს მიართვა პასი, მან კი კარიდან ოდნავ წინგამოსულ მეკარეს ახედა და რაღაც უცნაური ტრაექტორიით ბურთი ჭანტურიას ზურგსუკან ჩაუშვა — 2:0 შესვენებამდე, დამეთანხმებით, საქმის ნახევარზე მეტია. თუმცა ვიდრე შესვენების დრო მოატანდა, „ამერის“ მეკარე ქვაჩახიამ გოგი ფიფიას, იმედაძის და ბექა ნოზაძის ძალიანაც სახიფათოდ დარტყმულები მოიგერია.

მოკლედ, ქვაჩახიამ თავისი გუნდი შესვენებაზე გოლგაუშვებლად გაიყვანა. ვინ იცის, „ზესტაფონს“ სხვაობა პირველ ტაიმში რომ შეემცირებინა, მეორეში თამაში როგორ გაგრძელდებოდა.

ასეთ ვითარებაში კი სტუმართა თავკაცმა თემურ მახარაძემ ეროი თავდამსხმელი იმედაძე მეორით — ზურაბ იონანიძით შეცვალა, ფიფია და ჭელიძე უფრო ზემოთ ასწია და ჩანდა, რომ გუნდს თამაშის პრესინგით გაგრძელება დაავალა. მეორე ტაიმში სტუმრები, ფაქტობრივად, სამი თავდამსხმელით უტევდნენ და ცდილობდნენ, მასპინძელთათვის ბურთი მათსავე ნახევარზე აერთმიათ.

„ზესტაფონს“ მეორე ტაიმში „ამერის“ კართან საგოლე მომენტი არ შეუქმნია, აქედან გამომდინარე კი ითქმის, რომ სტუმრებს ეს საქმე კარგად არ გამოსვლიათ, ხოლო „ამერმა“ პირიქით, მატჩი ხუთიანზე ჩამთავრა. ბურთი მეტწილად მოედნის შუაში დაგორავდა და მეკარეებს სანერვიულო არაფერი ჰქონიათ...

ბადრი კვირკელიას ფოტოები

სულიკო დავითაშვილმა და გრიგოლ დოლიძემ ზესტაფონელებს ერთმეორეზე ლამაზი გოლები გაუტანეს

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

კახა კაჭარავა და დუშან უჰრინი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დინამომ ლიდერს წაგება გაასინჯა

ეიფორიამ დროული მარცხი იცის

დავით თავართქილაძე

დუშან უჰრინის „დინამომ“ პირველი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა — ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ რუსთავის „ოლიმპს“ რეტი დაასხა.

„ოლიმპს“ დაკარგული ჰქონდა კონცენტრაცია, ეპიზოდებში გუნდის მექანიზმი ძალიან მოშლილი იყო, ოლიმპელების ჟინი და მიზანსწრაფვა რამ მოსპო, ალბათ მხოლოდ თავად თუ იციან.

„დინამომ“ კი ძალიან მობილურად ითამაშა და სრულიად დამსახურებულადაც მოიგო.

დინამოელთა პირველივე სახიფათო იერიში გოლით დასრულდა — მარცხენა ფლანგზე სანდრო კობახიძემ ითამაშა კარგად, მეტოქე მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილი სანდრო იაშვილი მოძებნა, ვისაც ოლიმპელებმა ბურთის მიღებაც აცალეს, გასწორებაც და 17-18 მეტრიდან კარში ზუსტად დარტყმაც.

გაშვებული გოლის შემდეგ „ოლიმპი“ ოდნავ გააქტიურდა. გიორგი კახელიშვილი კარგად გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, სახიფათოდ ჩააწოდა კარის გასწვრივ, საიდანაც ირაკლი სირბილაძემ კარგად ვერ დაარტყა და სოსო გრიშიკაშვილმა ბურთის კუთხურზე გადაგდება მოახერხა. აქედან რამდენიმე წუთში როინ ონიანმა ჩააწოდა კუთხური და გიორგი ონიანმა თავურით ააცილა მიზანს. ერთი შეხედვით, „ოლიმპი“ გასათანაბრებლად იქაჩებოდა, მაგრამ მის შეტევებს ის მუხტი აკლდა, რაც აფეთქებას გამოიწვევდა. „ოლიმპს“, ასე თუ ისე, გამოსდიოდა ფლანგური შეტევები, მაგრამ მოედნის ცენტრში აშკარად მარცხდებოდა მეტოქესთან.

ჰოდა, როცა „დინამომ“ ერთხელაც გაილაღა მოედნის ცენტრში, მისმა საყრდენმა ნახევარმცველმა ლევან ხმალაძემ ოცდახუთიოდე მეტრიდან ბურთი ცხრიანში ჩაუსვა ჩემპიონატში გოლგაუშვებელ მიხეილ ალავიძეს.

პირველ ტაიმში „დინამოს“ კიდევ ჰქონდა საგოლე შანსი — კობახიძემ ბურთი ხარიხას შეაწყვიტა.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში ოლიმპელებმა თითქოს ძალა მოიკრიბეს, მაგრამ ერთი ლამაზი ეპიზოდის გარდა ვერაფერს გამორჩნენ — გოჩა ხოჯავა მოხდენილად გაუსწორდა ორ დინამოელს და ისეთი დაარტყა, გრიშიკაშვილმა ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა — ხოჯავას დარტყმული ხარიხამ აისხლიტა.

„დინამო“ მეორე 45 წუთში თავდაცვაზე და კონტრშეტევებზე გადაეწყო, რამაც გაუმართლა კიდეც — გრიშიკაშვილმა ბურთი საკუთარი საჯარიმო მოედნიდან მეტოქის საჯარიმოსთან ჩააგდო, „ოლიმპის“ ცენტრალური მცველები შეცდნენ, ჯაბა დვალი ალავიძესთან პირისპირ აღმოჩნდა და 3:0.

თამაშის შემობრუნება „ოლიმპისთვის“ უკვე ნაღდად შეუძლებელი იყო. თუმც სტუმრები მთლად მისავათებულები არ იყვნენ და ერთი საპასუხო გოლის გატანა შეეძლოთ კიდეც, მაგრამ გელა ხუბუას ახლოდან დარტყმულს ერთ-ერთი დინამოელი მცველი გადაეღობა.

პრესკონფერენცია

გიორგი კენანძე: ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ გამარჯვების შემდეგ გუნდი ეიფორიაში იყო. ფეხბურთელებზე იმანაც იმოქმედა, რომ ჯგუფიდან ორი გუნდი გადის. წარმატებული სერიის შემდეგ ეს მარცხი დროული იყო, რაც დასკვნების გამოსატანად წაგვადგება.

დუშან უჰრინი: ჩემპიონატის ლიდერს მოვუგეთ, მთელი 90 წუთი კარგად ვითამაშეთ. „ოლიმპი“ საკმაოდ კარგი გუნდია...

...ვფიქრობ, ჩეხურ და ქართულ გუნდებს შორის დიდი სხვაობა სულაც არ არის, უბრალოდ, ჩეხეთში უფრო სწრაფად თამაშობენ.

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 500 (ტევადობა 25 600)

დინამო 3:0 ოლიმპი

1:0 იაშვილი (10), 2:0 ხმალაძე (21), 3:0 დვალი (61)

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, გიგაური, გ. კაშია, ნავალოვსკი, ამბროზიო (ბაბუნაშვილი 80), ხმალაძე, გ. მერებაშვილი, ს. კობახიძე, დვალი (ლ. ახალაია 89), ს. იაშვილი	**ოლიმპი:** მ. ალავიძე, ქებაძე (ხოჯავა 46), სეთურიძე, აფციაური, დვალიშვილი (გ. თოდუა 58), რ. ონიანი, მახვილაძე, ხუბუა, კახელიშვილი, გ. ონიანი (მიმინოშვილი 70), სირბილაძე
სათადარიგონი: ლორია; აკობია, გ. თომაშვილი, ხუციშვილი, ზ. ჯანაშია	*სათადარიგონი:* ნაჭყეპია; გეწაძე, მიქიაშვილი
მწვრთნელი: დუშან უჰრინი	**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

გაფრთხილება: ამბროზიო (21)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ჯვარიძე, ა. კოკაია, ა. კრიჭაშვილი

დამკვირვებელი: ნ. კაკულია

გიორგი ონიანი ბურთს ეჯიბრება

ოლიმპელთა პირველ საამსეზონო მარცხს წერტილი ჯაბა დვალმა (№14) დაუსვა

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

ბესიკ კოდალაევის „ტორპედო“ მცხეთაშიც იყოჩაღა

მიხიჩას თამაში

ტორპედომ ქუთაისში ტაში და მოკითხვა გაიყოლა

მცხეთა. 27 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 1 500)

ვიტ ჯორჯია 0:1 ტორპედო

0:1 მუშკუდიანი (60)

ვიტ ჯორჯია:	ტორპედო:
ბედიაშვილი, დ. ლომაია, ადამაძე, გ. ღონღაძე, ლ. რაზმაძე (ინჯგია 64), კვაღინაძე, ფეიქრიშვილი, გ. მელქაძე, ჯაფარიძე, ბერიაშვილი, სახოკია (გელაშვილი 61)	კოდალაევი, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი (მუშკუდიანი 14), ფარულავა, გურული, თ. უგრეხელიძე (ცქვიტაია 46), ლაღაძე, გ. ჩხეტიანი, დოღონაძე, წიქარიშვილი (მ. ღონღაძე 66), გოგია
სათადარიგონი: ღურბელეიშვილი; ჭოველიძე, კლიმიაშვილი, გველესიანი, ბეჭვაია	*სათადარიგონი:* ქვილითაია; ა. კვირნაძე, ნ. ნადირაძე
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე	მწვრთნელი: იური კვირნაძე

გაფრთხილება: კვაღინაძე (22), ჩხეტიანი (25), ლომაია (57), ცქვიტაია (63)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ი. უკლება; მ. მაისურაძე

ილია ნანობაშვილი მცხეთიდან

არ ვიცით, საიდან, მაგრამ „არმაზის“ ხისსკამებიან ტრიბუნებზე ოცამდე ქუთაისელი გულშემატკივარი მოგროვდა სამუშაო ტანსაცმლით და ჩვეული ქუთაისური იუმორით ქომაგობდა „ტორპედოს“. თამაში რომ დამთავრდა, თავისიანებს ტაშიც დაუკრეს და ქუთაისში მოკითხვაც დააბარეს.

ტაშს ნაღდად იმსახურებდნენ სტუმრები, კბილებით იბრძოდნენ და ყოველმხრივ სივრცეს უზღუდავდნენ „ვიტ ჯორჯიას“.

სტუმართა ფაქტობრივი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი სკამზე არ დამჯდარა, ლამის ყველა პასზე თუ ზონის შევსებაზე უთითებდა ფეხბურთელებს, წუთით არ შეუწყვეტია შეძახილები და თამაში მართლაც რომ თავის თარგზე მოჭრა. მოკლედ, რომ იტყვიან, მწვრთნელმა მოიგო...

„ვიტ ჯორჯიას“ არ ჰყავდა დავით დიღმელაშვილი, პაატა და გიორგი დათუნაშვილები, ალექსანდრე კვახაძე, ოლეგ გველესიანი, ვასილ ღუჭაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ვიტელებმა თასის პირველ ტურში ახალციხის „მესხეთს“ ვერ სძლიეს (0:0), ეტყობა, ნესტორ მუმლაძეს ეჭვი არ ეპარება, რომ ჯგუფიდან გავა და ამიტომაც დაასვენა შემადგენლობა.

ნელტემპიანი ბურთაობა იყო, აქაც ზაზა სახოკია და გიორგი ფეიქრიშვილი აკრეფდნენ ხოლმე სიჩქარეს, რაც თავისუფლად შეიძლებოდა, გოლში გარდასახულიყო: ტაიმის შუაწელს, ხუთწუთიან მონაკვეთში ვეტერინართა ნახევარმცველმა გიორგი კვაღინაძემ ორჯერ დაარტყა საჯარიმოს მისადგომებიდან და ერთხელ თუ მიზანს აუცდა, მეორედ „ტორპედოს“ მეკარე ბესიკ კოდალაევმა იყოჩაღა.

პირველივე ტაიმში ძოძუაშვილმა თავდამსხმელი ზურაბ მუშკუდიანი შეიყვანა შეცვლაზე, რამაც ცოტა ააწრიალა მასპინძელთა მცველები: მართალია, დიდი ხიფათი არ შექმნილა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ უპირატესობა დაკარგა, ქუთათურთა დაცვა დავით გამეზარდაშვილის ყოჩობით საჯარიმოს მისადგომებამდე თუ უშვებდა მეტოქის ფორვარდებს.

მეორე ნახევარიც ზედმიწევნით თანაბარი თამაშით დაიწყო.

0:0 ან ერთი ბრმა გოლი — აქეთკენ მიდიოდა სცენარი, თუმცა გასულ გოლს ბრმას ნაღდად ვერ დავარქმევთ: მე-60 წუთზე ალექსანდრე ლაღაძის დარტყმული საჯარიმო გრიგოლ ბედიაშვილმა ცხვირწინ მოიგერია და ზურაბ მუშკუდიანმა ძლიერი დარტყმით დამატა.

A ჯგუფი

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. ამერი

ამერი თბილისი 2:0 ზესტაფონი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე; ა. გუნთაძე

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. სინათლე

სპარტაკი თბილისი 0:3 ჯახეთი თელავი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ზ. ასკაროღლი, ზ. ხუციშვილი; ზვ. ასკაროღლი

B ჯგუფი

მცხეთა. 27 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია თბილისი 0:1 ტორპედო ქუთაისი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ი. უკლება; მ. მაისურაძე

ახალციხე. 27 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

მესხეთი ახალციხე 0:1 ბორჯომი

მსაჯები: ო. ხეცაძე; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე; ხ. გაგნიძე

C ჯგუფი

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. ნორჩი დინამოელი

ნორჩი დინამოელი თბილისი 0:2 ჩიხურა საჩხერე

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ურუშაძე, კ. გუდურაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

დინამო თბილისი 3:0 ოლიმპი რუსთავი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ჯვარიძე, ა. კოკაია; ა. კრიჭაშვილი

D ჯგუფი

აგარა. 27 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

მეშაძრე აგარა 0:2 ბათუმი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე; გ. კიკაჩეიშვილი

ბოლნისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი ბოლნისი 2:1 მერანი თბილისი

მსაჯები: დ. სანაია; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; თ. ხუჭუა

A ჯგუფი

ამერი	2	2	0	0	5:0	6
ზესტაფონი	2	1	0	1	5:2	3
ჯახეთი	2	1	0	1	3:5	3
სპარტაკი	2	0	0	2	0:6	0

B ჯგუფი

ტორპედო	2	2	0	0	5:1	6
ბორჯომი	2	1	0	1	2:4	3
მესხეთი	2	0	1	1	0:1	1
ვიტ ჯორჯია	2	0	1	1	0:1	1

C ჯგუფი

დინამო	2	2	0	0	7:1	6
ჩიხურა	2	1	1	0	2:0	4
ოლიმპი	2	0	1	1	0:3	1
ნ. დინამოელი	2	0	0	2	1:6	0

D ჯგუფი

ბათუმი	2	2	0	0	6:0	6
სიონი	2	2	0	0	4:1	6
მეშაქრე	2	0	0	2	0:4	0
მერანი	2	0	0	2	1:6	0

ეს იყო და, მუმლაძემ სახოკიას ნაცვლად ნიკა გელაშვილი დასაქმა, რომელმაც გარკვეული სიმწვავე შეიტანა თავდასხმაში — სასწაული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მცველებს ხშირად გაურბოდა და სწორედ მისი პასის შემდეგ გიორგი ბერიაშვილმა წამით ვერ დაასწრო მცველს, თორემ გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

მერე კი ისევ დაწყნარდა თამაში, რევაზ ძოძუაშვილის შეძახილები ჭრიდა... ქუთაისელებს წამით არ მოუდუნებიათ ყურადღება. „ტორპედო“ ორი ტურის შემდეგ ექვსქულიანია და, შეიძლება ითქვას, უკვე მეოთხედფინალშია. „ვიტ ჯორჯიამ“ კი სულ მეორე შემადგენლობა თუ ათამაშა და „ბორჯომთანაც“ ასე გაფანტა ქულები, თასს თვალს ჩაუპაჭუნებს. თუმცა ეს ძალიან საეჭვოა...

თქვენი ინტერვიუ

მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ვის შევჩივლო, ანიელი მკვდარია!

მოჯიმ მორატი და როსი ერთ ქვაბში ჩაყარა

ყბადაღებულმა ლუჩანო მოჯიმ პირი მოაღო — „იუვენტუსის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა და კალჩოპოლის სკანდალის სათავემ განაცხადა, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის აწ უკვე ყოფილი ფედერალური კომისიონერი გვიდო როსი მთელ გამოძიებას „ინტერისთვის“ ხელის დაფარების მიმართულებით ქაჩავდა



ლუჩანო მოჯი

გვიდო როსი

შეგახსენებთ, რომ გაიძვერათა შორის უდიდეს გაიძვერად აღიარებულ მოჯის, სპორტულმა ტრიბუნალმა ხუთი წლით აუკრძალა ფეხბურთში მოღვაწეობა. მას თამაშების „მოკვარახჭინების“ მთელი სიტემის გამოგონება დასდეს ბრალად, ის კი აცხადებს, რომ როსი, მისი და „იუვენტუსის“ ჩაძირვას ლამობდა. ლუჩანო მოჯიმ ინტერვიუ იტალიის ტელევიზიას მისცა.

„ტელეკომ იტალია, „ინტერი“, მისი პრეზიდენტი მასიმო მორატი, მარკო ტრონკეტი პროვერა და გვიდო როსი სულ ერთი და იგივეა. მორატის, როსის და ტრონკეტის საერთო ინტერესი იტალიის ტელეკომი და „ინტერი“ გახლავთ. როსიმ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა და მშობლიურ ტელეკომს დაუბრუნდა“ — განაცხადა მოჯიმ.

შეგახსენებთ, რომ როსი ცოტა ხნის წინ იტალიის ტელეკომის პრეზიდენტად დაინიშნა და ამიტომ ფეხბურთის ფედერაციის კომისიონერის თანამდებობიდან გადაგომა მოუხდა.

მოჯიმ განაგრძო: „ყველაფერი, რაც ბოლო დღეებში მოხდა, ამტკიცებს იმას, რასაც მე ჯერ კიდევ თვეების წინ ვამბობდი, როდესაც ინდუსტრიული შპიონაჟი გახსნეს. ერთხელაც მინდა გავიგო — რომ სატელეფონო საუბრების ჩანაწერები არაფრის მტკიცებად არ გამოდგება. ხშირად ასეთ ჩანაწერებში სიტყვები აკლია, ზოგ ამონაბეჭდში კი პირიქით, ზედმეტი სიტყვებია. შესაბამისად, როგორ უნდა ენდო ასეთ ინფორმაციას? აი, სწორედ ამიტომ მივეცი პაოლო ბერგამოს რამდენიმე უცხოური მობილური სატელეფონო ბარათი. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემს ყოველ სიტყვას ისმენენ და მინდოდა რამენაირად თავი დამეცვა. ჯანი და უმბერტო ანიელების გარდაცვალების შემდეგ „იუვენტუსი“ დასუსტდა, თორემ ისინი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ასეთ რამეს ვინ გაბედავდა“.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსი“ ამჯერად სერია B-შია გაძევებული. მას მინუს 17 ქულით მოუწია ჩემპიონატის დაწყება, თუმცა იტალიის ოლიმპიური კომიტეტი ამ ქულათა საქმეს ჯერ კიდევ განიხილავს. მოსმენები ოქტომბერშია დანიშნული.

პაპუნა კ̇ედია

დელიოს სიმღერა: მახინჯი ვარ ქულებით

რომის „ლაციომ“ სეზონი მინუს 11 ქულით დაიწყო. დედაქალაქელებმა 6 უკვე გაქვითეს და მათი მწვრთნელი დელიო როსი ძალიან კმაყოფილია. მისი თქმით, ახლა მთავარი ქულების მოხვეჭაა და როგორ გააკეთებს ამას „ლაციო“, მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა „ლაციალეს“ ბევრი აკრიტიკებს, უსახურ ფეხბურთს თამაშობსო.

დელიო როსი: „შესაძლოა, ახლა ლამაზად არ ვთამაშობთ, მაგრამ მთავარი ქულების მოპოვებაა და ნუ დაგვძრახავთ. სამწუხაროდ, როცა მინუს 11 ქულა გაქვს, სხვაზე ვერაფერზე ფიქრობ. თუმცა წინ მთელი სეზონია და აუცილებლად მოვუმატებთ. ნელ-ნელა უფრო ლაღადაც ავთამაშდებით“.

აღსანიშნავია, რომ თუ „ლაციო“ მომავალ ოთხ თამაშში თითო გოლს მაინც გაიტანს, დაამხობს თავისსავე რეკორდს, რომელიც დედაქალაქელებმა დინო ძოფის ხელში დაამყარეს. მაშინ მათ მიჯრით 19 მატჩში მინდორი უგოლოდ არ დატოვეს.

„ისტორია ფაქტებზეა დამყარებული. მე კი ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ „ლაციოს“ ისტორიის ნაწილი გავხდე. სასიამოვნო იქნება, თუ ამ რეკორდს დავამყარებთ. საერთოდ, წარმატებისთვის ფანების მხარდაჭერა ძალიან გვჭირდება. სამწუხაროდ, ბოლო მატჩზე ბევრი ქომაგი არ მოვიდა, მაგრამ ვინც იყო, მათი მადლობელი ვარ. ყველამ უნდა ვიამაყოთ, რომ „ლაციოს“ ღირსებას ვიცავთ“ — განაცხადა როსიმ.

მომავალ ტურში „ლაციოს“ სერიოზული გამოცდა ელის. დედაქალაქელები ტურინში „ტორინოს“ ესტუმრებიან, რომელმაც სეზონი ცუდად დაიწყო და ქულები ასევე ძალიან სჭირდება.

„ტურინელთა მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის კარგად ვიცნობ. მან „მილანთან“ ერთად სკუდეტო მოიგო და მშვენიერი სპეციალისტია. „ტორინო“ კარგი გუნდია, ძლიერი შემადგენლობით და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ“ — დასძინა როსიმ.

„ლაციოს“ ექიმების თქმით, ამ ზაფხულს „პალერმოდან“ ნაყიდი ნიგერიელი ფორვარდი სტეფან მაკინვა ერთი თვე ვერ ითამაშებს. იგი გასულ უქმეებზე „ატალანტასთან“ მატჩში დაშავდა.

ძოკი ძანდელაძი

მარტო მარტამდე

სისინიოს ბურთი და მოედანი დაუმალეს

მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელმა მცველმა სისინიომ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. სისინიო „ბეტისთან“ მატჩში დაშავდა და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. როგორც მადრიდის „რეალის“ სამედიცინო შტაბის უფროსი ალფონსო დელ კორალი აცხადებს, სისინიო ბურთსა და მოედანს მარტამდე ვერ დაუბრუნდება.

„ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და სისინიოც თავს კარგად გრძნობს. მოვლენებს წინ არ გავუსწრებ, თუმცა ვიტყვი, რომ ფეხბურთელი მოედანზე გამოსვლას, სავარაუდოდ, მარტში მოახერხებს“ — აღნიშნა დოქტორმა დელ კორალმა.

ამრიგად, ბრაზილიელი „რეალს“ 6 თვით გამოეთიშა, რის გამოც მადრიდში ახალი მცველის შეძენაზე დაიწყეს საუბარი. რეგლამენტის მიხედვით, მსგავსი მძიმე ტრავმის შემთხვევაში კლუბს ახალწვეულის „ბერნაბეუზე“ მიყვანა იანვრის სატრანსფერო ბაზრამდეც შეუძლია, ოღონდ ფეხბურთელი აუცილებლად ესპანური პრიმერას გუნდიდან უნდა იყიდონ.

„რამდენიმე მოთამაშეს ვაკვირდებით. თუმცა უსარგებლო ტრანსფერში ფულის გადახდას არ ვაპირებთ, აქ დაფიქრებაა საჭირო“ — განაცხადა „რეალის“ მწვრთნელმა კაპელომ მედიასთან. „მარკას“ ცნობით, სამეფო თეთრები „სევილიას“ ალვეშის, ვალენსიელი აიალას ან დეპორელი ანდრადეს ყიდვას გადაწყვეტენ.

ლადო ხომერიკი

ცხრათვიანი

ეშლი კოულის აგენტი ჯონათან ბარნეტი ფეხბურთის ასოციაციამ 100 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

მიზეზი ის ძველი სკანდალია, რომლის არსიც დადგენილია: ბარნეტმა შარშან ნამდვილად შეახვედრა არსენალელი კოული „ჩელსის“ უფროსობას.

ასევე, ბარნეტს 9 თვით აეკრძალა მუშაობა, კოული 75 ათასით დაჯარიმდა, „ჩელსი“ კი — 300 ათასით.

ბარნეტმა კოულის ჩელსური ტრანსფერის გაჩარხვაში მილიონნახევარი აიღო და მისი კლიენტები არიან დარენ ბენტი, პიტერ კრაუჩი, კირონ დაიერი, ლედლი კინგი და კოლო ტურე.

ირაკლი გამყრელიძე

უვედეთი

ალსვენსკა. XX ტური

ელფსბორგი 2:0 იორგრიტე
იოსტერსი 0:3 ჰელსინგბორგი
აიკ 0:2 ჰამარბი

ელფსბორგი	20	10	9	1	37:17	39
აიკ	20	11	6	3	35:19	39
ჰამარბი	20	10	4	6	34:28	34
გიოტებორგი	20	8	8	4	33:22	32
ჰელსინგბორგი	20	8	7	5	32:23	31
კალმარი	20	9	4	7	28:21	31
მალმიო	20	8	6	6	34:29	30
იურგორდენი	20	8	6	6	22:18	30
გეფლე	20	7	5	8	21:28	26
გაის	20	5	8	7	20:25	23
ჰალმსტადი	20	4	9	7	17:25	21
იორგრიტე	20	3	5	12	19:35	14
ჰეკენი	20	2	7	11	19:36	13
იოსტერსი	20	3	4	13	14:39	13

ჰატარა ადუ



„რედინგი“ ხმაურიან ტრანსფერს ამზადებს.

მენეჯერ სტივ კოპელს გადაუწყვეტია, იანვრიდან 6 თვით იქირავოს ამერიკელი ვუნდერკინდი ფრედი ადუ, ექვსი თვის თავზე კი ბიჭი 5 მილიონად შეიძინოს „დისი იუნაიტედისგან“.

ადუს უკვე დაპყრობილი აქვს ამერიკული სტადიონები: 16 წლიდან მეიჯორ ლიგაში თამაშობს და ამერიკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პროფესიონალია.

ირაკლი გამყრელიძე

იუბილარმა ბერლუსკონიმ განსხვავებული მოითხოვა

სილვიო ბერლუსკონის უმცროსმა შვილმა ლუიჯიმ განაცხადა, რომ მსოფლიოს ვარსკლავ ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტად „მილანისთვის“ ბარსელონელ რონალდინიოს ისურვებდა.

„რონალდინიო ერთადერთი და განუმეორებელია. მსოფლიოში მასზე უფრო ბრწყინვალე და ელეგანტური ფეხბურთელი არ არსებობს. ყველა სხვა მოთამაშეზე მეტად „მილანში“ რონის ყოფნის ვისურვებდი“ — უთხრა ლუიჯიმ „გაძეტა დელო სპორტს“.

უმცროს ბერლუსკონის დღეს, 28 სექტემბერს, 18 წელი შეუსრულდა და მამასავით ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკივარია. „შევჩენკოს გოლების ყურებაში გავიზარდე“ — აცხადებს „მილანის“ მეპატრონის ვაჟი. ლუიჯის „სან სიროზე“ ანდრეი შევჩენკოს დაბრუნების იმედი აქვს: „ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან ანდრეი „მილანს“ დაუბრუნდება. „ჩელსიში“ გადასვლის მიუხედავად, მაინც მის გულშემატკივრად ვრჩები...“

ლადო ხომერიკი

წუწაობა წიწაკით
კატანიას კარი დაუკეტეს

შაბათს, კატანიაში სიცილიური დერბი იყო, „კატანია“ „მესინას“ მასპინძლობდა. შეხვედრა 2:2 დამთავრდა, მასპინძელმა ქომაგებმა კი იხულიგნეს და შედეგად „სტადიო ანჯელო მასიმინო“ ორი თამაშით დაისაჯა — დისკვალიფიცირებულია.

როგორც იტალიის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა გამოიკვლია, თამაშის წინ და შემდეგ მოწყობილ დებოშში დამნაშავენი აშკარად კატანიელები ივნენ.

ხულიგნებს პოლიციასთან უჩხუბიათ და წესრიგის მცველნი იძულებულნი გამხდარან მათთვის საგანგებო სითხე, ეგრეთწოდებული „წიწაკის შხეფები“ მიესხურებინათ. როგორც ამბობენ „წიწაკის“ შხეფები მხოლოდ პასუხი იყო იმ რაკეტებსა და მაშხალებზე, რომელიც მათ მაყურებელმა დაუშინა.

როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა მიკელე კამპომაკიამ განაცხადა, იმ დღეს კატანია უფრო საომარ ზონას ჰგავდა, ვიდრე სპორტული შეჯიბრების ასპარეზს.

„თავი ლიბანში გვეგონა“ — თქვა მან.

პოლიციამ მხოლოდ და მხოლოდ სამი ადამიანის დაპატიმრება მოახერხა.

გასული კვირის ოთხშაბათს კი სიცილიაში სხვა დერბი იყო, „პალერმო“ — „კატანია“, რომლის დროსაც 59-ზე მეტი ადამიანი დაზიანდა. ამ ხალხიდან ხუთი პოლიციელი გახლდათ. მაშინ ხუთი ხულიგანი დაიჭირეს.

ასე და ამგვარად, შემდგომ ორ მატჩს „კატანია“ დაკეტილ კარს მიღმა ითამაშებს.

პაპუნა კედია

მარკ ვიდუკა სამშობიაროში

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარკ ვიდუკა

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა გრეგ არნოლდმა ჰარაგვაისთან ამხანაგური მატჩისთვის, რომელიც 7 ოქტომბერს ბრისბენში გაიმართება, უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი. ეს „ოზების“ გენერალური რეპეტიცია იქნება ოთხი დღის მერე აზიის თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე სიდნეიში, ბაჰრეინთან გასამართი შეხვედრის წინ.

აღსანიშნავია, რომ ჰარაგვაისთან მატჩის მერე ავსტრალიელთა რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს, თუმცა მათ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. გამოძახებულთა შორის არ არიან ტრავმირებული ჯოშუა კენედი და ჰარი კიუელი. მარკ ვიდუკას მეუღლე კი ბავშვს ელოდება და იგი ამის გამო არ ითამაშებს.

„ოზთა“ ამ ცნობილ სამეულს ტონი ვიდმარი, ტრევის დოდი და ალექს ბროსკე შეცვლიან. შეგახსენებთ, რომ ვიდმარმა მუნდიალი გამოტოვა, რადგან გული აწუხებდა, მაგრამ ახლა იგი ჯანზეა. ბაჰრეინთან მატჩისთვის შემადგენლობას კევინ მუსკატი და ჯეიდი ნორსიც დაემატებიან.

„ნაკრებში უძლიერესი მოთამაშეები გვყავს გამოძახებული და მათი სია მართლაც შთამბეჭდავია. ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესოებს ლეგიონერები გვემატებიან, რომლებიც თავიანთ კლუბებში ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობენ. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ფეხბურთი სწორ გზაზეა“ — თქვა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის მმართველმა მეტ კეროლმა.

ავსტრალიის ნაკრები

მეკარეები: მარკ შვარცერი (მიდლსბრო, ინგლისი), ჯულიო კალაჩი (მილანი, იტალია), ანტე კოვიჩი (ჰამბრბი, შვედეთი); მცველები: მაიკლ ბუჩამპი (ნიურნბერგი, გერმანია), სკოტ ჩიპერფილდი (ბაზელი, შვეიცარია), ტრევის დოდი (ადელაიდა იუნაიტედი), სტენ ლაზარიდისი (პერთ გლორი), მარკ მილიგანი (სიდნეი), კრეიგ მური (ნიუკასლი, ინგლისი), ლუკას ნილი (ბლეკბერნი, ინგლისი), ტონი პოპოვიჩი (ალ არაბი, ყატარი); ნახევარმცველები: ალექს ბროსკე (სიდნეი), მარკო ბრეშიანო (პალერმო, იტალია), ტიმ კეჰილი (ევერტონი, ინგლისი), ჯეისონ კულინა (ასვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ბრეტ ემერტონი (ბლეკბერნი, ინგლისი), ვინსენცო გრელა (პარმა, იტალია), იოსიპ სკოკო (უიგანი, ინგლისი); თავდამსხმელები: ჯონ ალოიზი (ალავესი, ესპანეთი), მილე სტერიოვსკი (ბაზელი, შვეიცარია), არჩი ტომპსონი (მელბურნ ვიქტორი), ტონი ვიდმარი (სენტრალ ქოსთ მარინერსი), ლუკ უილკშირი (ტვენტე, ჰოლანდია)

რიკარდოს თავი მოაბეს



„ბორდოს“ ბრაზილიელმა მწვრთნელმა რიკარდო გომეშმა კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. ეს ნიშნავს, რომ გომეში, რომელსაც თავის დროზე ბრაზილიის ნაკრებში და პსჟ-ში უთამაშია, ჟირონდელებთან 2009-ის ივლისამდე დარჩება.

„ჯერ კიდევ მაისში გვსურდა რიკარდოსთან კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ ვერ მოვაბით თავი, ახლა კი ყველაფერი შევათანხმეთ და ქაღალდები ხელმოწერილია“ — განაცხადა „ბორდოს“ პრეზიდენტმა ჟან ლუი ტრიომ.

ბრაზილიელმა მწვრთნელმა გუნდი 2005 წლის დასაწყისში ჩაიბარა. პირველივე სეზონში მეორე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა.

რიკარდო რაიმუნდო გომეში 41 წლისაა. იგი 1964-ის 13 დეკემბერს დაიბადა რიო დე ჟანეიროში და მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრებში იყო.

ფეხბურთელობისას თამაშობდა „ფლუმინენსეში“, „ბენფიკასა“ და პსჟ-ში.

რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, პსჟ-ში დაიწყო და იქ ორი წელი (1996-1998) გაატარა. შემდეგ ბრაზილიაში განაგრძო მუშაობა და რვა კლუბი გამოიცვალა, 2005 წელს კი საფრანგეთში დაბრუნდა და „ბორდო“ ჩაიბარა.

მილიონები სკამზე

ისეთი პირი უჩანს, რომ მადრიდის „რეალი“ კონტრაქტს განუახლებს დევიდ ბექემს.

სამშაბათს ზედიზედ მესამე თამაში იყო, რაც 31 წლის ბექზი ფაბიო კაპელოს სათადარიგოთა სკამზე ეჯდა. არადა, სწორედ დღეს იწყება ბექემის მოლაპარაკებები კლუბთან ახალ, ოწლიან კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელმა წელიწადში 4 მილიონი გირვანქა უნდა მიიღოს. თუმცა, „რეალი“ იმ თანხის დაწევასაც არ აპირებს, ბექსის მინდორგარეთა შემოსავლებიდან რომ იღებს.

ბექემს მილიონები მოაქვს „რეალისთვის“ და ამიტომ მოლაპარაკებები მძიმე იქნება. კლუბი ამჟამინდელი ხელფასის შენარჩუნებას შესთავაზებს ფეხბურთელს. მადრიდელებს ბექემის გაშვება სულაც არ უნდათ, თუმცა, ნებისმიერ ფასად მის შენარჩუნებას არ აპირებენ. ამიტომ, მომავალი ბუნდოვანია.

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. III ტური

E ჯგუფი

თვალი გაახილე, ლუის! რაულმა არაგონესს გოლი გააწნა

რეალი 5:1 დინამო

1:0 ვან ნისტელროი (20), 2:0 რაული (27), 3:0 რეიესი (45), 3:1 მილევსკი (47), 4:1 რაული (61), 5:1 ვან ნისტელროი (70პ)

რეალი: კასილიასი, მეხია, კანავარო, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, რეიესი (ბეკჰემი 46), ემერსონი, დიარა, გუტი, რაული (რობინიო 84), ვან ნისტელროი (რონალდო 72)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

დინამო: შოვკოვსკი, ო. გუსევი, საბლიჩი, გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, რინკონი (ალიევი 81), კორეა (მიხალიკი 74), იუსუფი, ბელკევიჩი (რიბკა 70), მილევსკი, შაცკიხი

მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო

გაფრთხილება: შაცკიხი, სერხიო რამოსი

გაძევება: შოვკოვსკი (68)

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

65 000 მაყურებელი

სჭირდება თუ არა ესპანეთის ნაკრებს რაულ გონსალეს ბლანკო? ალბათ, სჭირდება, რადგან „ბერნაბეუზე" კიევის „დინამოს" ერთ-ერთი მთავარი სისხლის გამშრობი ლეგენდარული კასტილიელი კაპიტანი გახლდათ. რაულმა უკრაინელებს ორი გოლი გაუტანა, შესანიშნავად ითამაშა და ყველას აფიქრებინა, რომ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ლუის არაგონესი მთლად მართალი არაა, „რეალის" მეშვიდე ნომრის ეროვნულ გუნდში მიწვევაზე უარს რომ აცხადებს. გონსალეს ბლანკო 53 გატანილი გოლით ჩემპიონთა ლიგის მთავარმეგოლეთა სიაში ანდრეი შევჩენკოს გაუთანაბრდა. ახლა ამ სიას შევა და ესპანელი ლიდერობენ.

კიევის „დინამო" კი საბრალოდ გაიცინა „ბერნაბეუზე". „რეალმა" ლიგის წინა მატჩი „ლიონთან" წააგო და გაბრაზებული გულშემატკივრების გული უკრაინელთა განადგურებით მიიგო. მასპინძელთა 5 გოლს სტუმრებმა მარტო მილევსკის ერთით უპასუხეს.

ფაბიო კაპელომ მეხია მარჯვენა მცველად ათამაშა, სერხიო რამოსს და კანავაროს კი დაცვის ცენტრში მიუჩინა ადგილი. რაული მარჯვენა ფლანგზე გახლდათ, ხოლო რეიესი მარცხენაზე.

ალექსანდრ შოვკოვსკის თავიდან რობერტო კარლოსმა გაუმწარა სიცოცხლე. ბრაზილიელის 3 შორეული დარტყმიდან პირველი შოვკოვსკიმ უკუაგდო, მეორედ კარლოსმა ბურთი ძელს დააჭედა, ხოლო მესამედ უკრაინელი მეკარის მოგერიებულს ვან ნისტელროიმ მიუსწრო და მეოცე წუთზე პირველი გოლი შეაგდო.

შვიდი წუთის შემდეგ ხოსე ანტონიო რეიესმა ბურთი „დინამოს" საჯარიმოში ჩაკიდა და იქ რაულმა ლეწა საგოლე თავური. „სანტიაგო ბერნაბეუ" კაპიტნის გოლს ოვაციებით შეეგება.

დაცვაში კაპელოს ბიჭებს საქმე ასე აწყობილად არ ჰქონიათ. კანავარო კვლავინდებურად ვერაა ფორმაში — იტალიელმა „დინამოს" ფორვარდების წინააღმდეგ სუსტად იბრძოლა. სტუმრებს ამის გამო რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი შეექმნათ, თუმცა ვერ გამოიყენეს და გოლიც საკუთარ კარში მიიღეს — პირველი ტაიმის მიწურულს ხოსე რეიესმა ივაჟკაცა.

შესვენების შემდეგ უკრაინელმა მილევსკიმ ერთადერთი საპასუხო გოლი სწრაფად შეაგდო. შემდეგ, „ბერნაბეუს" ოვაციის თანხლებით რაულმა 4:1 გახადა ანგარიში. მატჩს საბოლოო წერტილი ვან ნისტელროიმ დაუსვა. მეკარე შოვკოვსკიმ ჰოლანდიელი საჯარიმოში წააქცია, მსაჯმა პენალტი დანიშნა და რუუდმაც წითელბარათაკიდებული შოვკოვსკის ნაცვლად კარში ჩამდგარ სათადარიგო რიბკას გაუტანა.

72-ე წუთზე კაპელომ მოედანზე ვან ნისტელროის ნაცვლად რონალდოს უხმო. ბრაზილიელს „რეალის" ფორმა 8 აპრილის შემდეგ არ მოერგო და „რეალის" ფანებიც კიჭას გულთბილად შეეგებნენ.

სტიაუა 0:3 ლიონი

0:1 ფრედი (43), 0:2 ტიაგუ (55), 0:3 ბენზემა (90)

სტიაუა: ჯ. ფერნანდეში, მარინი, გოიანი, გიონია, ნესუ, ნიკოლიტა, ლოვინი (ტერეაუ 76), პარასკივი (პეტრე 58), ბოსტინა (ოპრიტა 55), დიკა, ბადია

მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ

ლიონი: კუპე კლერკი, კრისი, მოულერი, აბიდალი (რეველიერი 76), ტიაგუ (კალსტრიომი 82), ტულალანი, ჟუნინიო, ვილტორდი, მალუდა, ფრედი (ბენზემა 85)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ოპრიტა, ნიკოლიტა, ტულალანი, პეტრე

მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი)

25 000 მაყურებელი

რუმინელებმა ლიგის წინა ტურში კიევში კი ივაჟკაცეს (მაშინ „სტიაუამ" „დინამო" 4:1 დაამარცხა), მაგრამ მომდევნო ჯახი შინ „ლიონთან" 0:3 წააგეს. ჟერარ ულიეს ბიჭები ბრწყინვალედ თამაშობენ და ძნელია, ფრანგულ გაზეთებს არ დაეთანხმო, სადაც „ლიონის" სალიგო ფავორიტობაზე დარწმუნებით წერენ.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს ფრედმა გახსნა — ადგილობრივთა ბრაზილიელი გოლკიპერი ფერნანდეში უხეშად შეცდა და თანამემამულეს გოლის გატანის შანსი აჩუქა. ყველაფერი კი ჟუნინიოს შორეულ დარტყმას მოჰყვა. როგორც წესი, ეს ფეხბურთელი მეტოქეთათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს.

მეორე ტაიმში „ლიონმა" კიდევ ორი გოლი შეაგდო. ორივეში ჟუნინიოა „დამნაშავე". პირველად კუთხური მოაწოდა და ტიაგოს თავურით გაატანინა, მერე კი საგოლე პასით ბენზემა ახეირა. რუმინელთა მესაფლავე ჟუნინიო გახლავთ, „ლიონი" კი ექვსი ქულით ლიდერობს.

ლადო ხომერიკი

ლიონი	2	2	0	0	5:0	6
რეალი	2	1	0	1	5:3	3
სტიაუა	2	1	0	1	4:4	3
დინამო	2	0	0	2	2:9	0

F ჯგუფი

საამ სერს აამა: ბენფიკა დაალევინა

ლისაბონურ მატჩს ძიძგილაობა არ აკლდა

სელტიკი 1:0 კოპენჰაგენი

1:0 მილერი (36პ)

სელტიკი: ბორუცი, ტელფერი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ლენონი, გრავესენი, მაკგიდი (პირსონი 88), ჟურავსკი (ბიტი 73), მილერი (მელოუნი 82)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, იაკობსენი, პანგელანდი, გრავგაარდი, ბერგდოლმო (თომასენი 75), სილბერბაუერი, ლინდეროტი, ნორეგაარდი, ჰანინსონი, ბერგლუნდი (კვისტი 56), ოლბოკი

მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი

მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

57 598 მაყურებელი

„სელტიკს" ახალი გმირი ჰყავს — კენი მილერი, რომელმაც ოთხ დღეში ორი ძვირფასი გოლი გაიტანა. ერთი გასულ შაბათს „რეინჯერსთან" მოგებულ მატჩში (2:0), ხოლო მეორე გუშინწინ „კოპენჰაგენთან" — პენალტით. პენალტი კი ფლორიენ მეიერმა მაშინ დანიშნა, გრავგაარდმა ნაკამურა რომ წააქცია. ნაკამურას მეცამეტე წუთზე თავად შეეძლო გატანა, მაგრამ მის დარტყმულს ბოლო მომენტში გრავგაარდი ჩაუწვა. ტრავმირებული ვენეგოორ ოფ ჰესელინკის ნაცვლად მოთამაშე მაცეი ჟურავსკიმ ტაიმის შუაში გაიტანა, თუმც მეიერმა თამაშგარე აღნიშნა.

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ „დადიანის თასის“ საამსეზონო პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც მხოლოდ 5 გუნდის მწვრთნელი დაესწრო — „ავიამშენის“ თავკაცმა ლევან მოსეშვილმა და თსუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა მიზეზთა გამო ჟურნალისტებისთვის ვერ მოიცალეს.

გუნდების თავკაცებმა მოკლედ ისაუბრეს თავიანთ კლუბებში არსებულ ვითარებასა და სატურნირო ამბიციებზე:

ბეჟან ქვილითაია: სსუ-ს მთავარი მწვრთნელი:

— ჩვენი გუნდი წლეულს კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა, თუმც ერთი გამოცდილი მოთამაშეც შეგვემატა — ვანო აბულაძე. გვსურს, ირაკლი სორდიაც დავიტოვოთ, მაგრამ მას ირანში უნდა წასვლა და ჯერ არ ვიცით, რა როგორ იქნება. დადიანის თასზე ვეცდებით, მეტოქეებს წინააღმდეგობა გავუწიოთ.

ზაზა ცაგარეიშვილი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:

— ძველი შემადგენლობიდან ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ და საკმაოდ ძლიერი მოთამაშეებიც შევიმატეთ — დავით მურჯიკნელი, ვიქტორ კოღუაშვილი, რევაზ ათანელაშვილი, ნიკო ნოზაძე. შესაბამისად, უწინდელზე უკეთესი შედეგისთვის ვიბრძოლებთ. ჩემპიონატში ნახევარფინალში გასვლას ვუმიზნებთ, დადიანის ტურნირზეც არ ვართ ნაკლებზე თანახმა.

ჯამლეტ ხუხაშვილი, „მაკაბის“ თავკაცი:

— მთავარი ამბავი ისაა, რომ გიორგი შერმადინი საზღვარგარეთ არ მიდის და ისევ „მაკაბის“ დაეხმარება. მას ჯერ აქაური ცენტრებთან აქვს დასამტკიცებელი თავისი სიძლიერე და მერე უცხოეთშიც გავუშვებთ. შეგვემატა ძველი ლიდერი და ბომბარდირი გოჩა წოწელია, რომელიც გუნდს საკმაოდ გააძლიერებს. ასევე ჩვენთან იქნება გულიერ ახალკაცი და არაა გამორიცხული, ირაკლი მაისურაძემაც „მაკაბიში“ გააგრძელოს კარიერა. დუდუ დადიანის მემორიალი თავისთავად მნიშვნელოვანი ტურნირია და ის არ შეიძლება მივიჩნიოთ ეროვნული ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, თუ თასის მოგებას მოვახერხებთ.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი:

— დუდუ დადიანის თასზე კი არა, ჩემპიონატშიც კი სათუო იყო ჩვენი გუნდის თამაში, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. მემორიალში მონაწილეობის საკითხი სულაც გუშინ გადაწყდა. დუდუ დადიანი ჩემი მეგობარი იყო, მას დიდ პატივს ვცემ და გულით მინდოდა, წლეულს მისი სახელობის თასი მომეგო, მაგრამ... სტუ-ს 70 პროცენტს სრულიად ახალგაზრდები წარმოადგენენ, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში ჯერ არ უთამაშიათ. უწინდელი შემადგენლობიდან მხოლოდ შალვა კოხრეიძე დარჩა, დანარჩენები სულ ახალგაზრდები არიან. ერთადერთი შედარებით გამოცდილი შენაძენი სერგო ათუაშვილია, რომელმაც გასული სეზონი პორტუგალიაში გაატარა.

დავით უსტიაშვილი, „აზოტის“ მწვრთნელი:

— ჩვენი მიზანი თასის მოგებაა და ამის საფუძველს ის ტრანსფერები იძლევა, რომელიც „აზოტში“ განხორციელდა. შევიმატეთ რამდენიმე ძლიერი მოთამაშე — დავით უგრეხელიძე, კოტე ტულუში, გიორგი მარკოიშვილი, ვახტანგ მინაშვილი, ვლადიმერ ბეჟანიშვილი, რევაზ დიდია და ლაშა კეშელავა. ძველი შემადგენლობიდანაც საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები დარჩნენ — რამაზ გოგობერიშვილი, ანატოლი ბოისა, მიხეილ ჭოჭუა, ლევან ცეკავა, გეგი ლიპარტელიანი და ჟოლივეტ ტუჯანი. ვფიქრობ, ამ შემადგენლბას ძალიან კარგი შედეგის მიღწევა შუძლია.

დუდუ დადიანის ტურნირს არ ეხებოდა, მაგრამ პრესკონფერენციის ბოლოს ფედერაციის პრესსამსახურმა იმ სპეციალისტების სრული სია გვამცნო, რომლებიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდების მიღებაზე არიან წარდგენილნი: დავით უსტიაშვილი, გელა წულაძე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, მიხეილ კობეშავიძე, გურამ მეგრელაძე და ზურაბ ტომარაძე.

ირაკლი პერტაია



დირკ ნოვიცკი

დალასმა სიმბოლო გაიხანგრძლივა

„როდესაც კალათბურთის თამაში დავიწყე, არც კი მიფიქრია, რომ ნბა-ში ამოვყოფდი თავს და კონტრაქტის გაყვრმებისას ჩემთვის სასურველ პირობებს ვუკარნახებდი კლუბს“ — განაცხადა დირკ ნოვიცკიმ, რომელმაც „დალასთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა.

როდესაც დიდ გერმანელს დალასთან კონტრაქტის ყავლი გაუვა, ის უკვე 33 წლის იქნება და მერე თვითონ გადაწყვეტს, გაგრძელოს კარიერა ნბა-ში, თუ ევროპაში იარხეინოს. ანუ ახლა 28 წლის ნოვიცკი კონტრაქტით ხუთი წლის მანძილზე 60 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს. ნბა-ს საზომებით ეს ხელფასი არც ბევრია და არც ცოტა. ერთი სიტყვით, რაღაც ზეხელფასზე საუბარიც არაა, ნოვიცკიმ უბრალოდ, საშუალო ანაზღაურებით უერთგულა კლუბს, რომელმაც დიდი კალათბურთის კარები ფართოდ გაუღო.

ერთიცაა, არც დირკი დარჩენილა ვალში და თავისი ჯადო ხელებით ერთი შეხედვით ისე რა „დალასი“ უამბიციო კლუბიდან ნბა-ს მრისხანე გუნდად აქცია.

„ჩემთვის ფული მთავარი აღარ არის. მე მინდა, რომ აქედან „დალასის“ სიმბოლოდ წავიდე და საშუალო ანაზღაურებას ამიტომ დავთანხმდი“ — განაცხადა კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ ნოვიცკიმ.

ბაჩო სვანიძე

ჭიდაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი

გუანჯოუ. ჩინეთი. 25-29 სექტემბერი

ბერძნულ-რომაული

120 კგ

1 ხასან ბაროევი (რუსეთი)
2 მიგელ ლოპესი (კუბა)
3 ისმაილ გუზელი (თურქეთი)
3 სერგეი არტიუხინი (ბელარუსი)

თავისუფალი

55 კგ

1 რადოსლავ ველიკოვი (ბულგარეთი)
2 ბესიკ კუდუხოვი (რუსეთი)
3 სამუელ ჰენსონი (აშშ)
3 ნამიგ აბდულაევი (აზერბაიჯანი)

60 კგ

1 სეიედ მუჰამედი (ირანი)
2 მაიკ ზადიკი (აშშ)
3 ნორიუკი ტაკაცუკა (იაპონია)
3 მავლეტ ბატიროვი (რუსეთი)

ხარისხობრივი რეგრესია

ქართველებისთვის მესამე დღე უმედლო გამოდგა



ბერძნულ-რომაული ფინიში და თავისუფალი დასაწყისი ქართველი მოჭიდაველებისთვის წინა ორ დღეზე წარუმატებელი გამოდგა. არც ბედინაძის ვერცხლს და კვირკველიას ბრინჯაოს შემატებია მედალი და საერთოდაც, გუშინდელმა ჩვენმა სამეულმა გადამწყვეტ ბრძოლებამდეც ვერ მიაღწია.

ბეგი დარჩიას შვიდეულის მეშვიდე წევრისგან კვარცხლბეკზე ასვლას რომ ნაკლებად ელოდნენ, ამაზე საჭიდაო წრეებში ნაკრების ჩინეთში გამგზავრებამდეც იყო საუბარი. რევაზ ჭელიძეს (120კგ) თავისი წონის ფავორიტებთან საჭიდაოდ დრო და გამოცდილება დასჭირდება, ტალანტი კი აშკარად აქვს. გუანჯოუში ჩვენებურს კენჭისყრამაც არ გაუმართლა — პირველსავე წრეში ძლიერ თურქს, ისმიაილ გუზელს გადაეყარა და ვერ აჯობა. მერე თურქმა მეოთხდფინალში წააგო და ჭელიძეს ბრინჯაოს შანსიც აღარ დაუტოვა.

თავისუფალი სტილის ნაკრებიდან ხალიჩაზე პირველი ყველაზე მსუბუქწონიანი ბესიკ გოჩაშვილი (55კგ) გავიდა. ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთო და აზერბაიჯანელ ნამიგ აბდულაევთან დამარცხდა. ამ აზერმა მოგვიანებით საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ამირან კარტანოვსაც ჩაუხერგა ოქროს გზა, რუსეთის სახელით მოჭიდავე ბესიკ კუდუხოვთან კი აღარაფერი გამოუვიდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებულმა დავით პოღოსიანმა (60კგ) მსოფლიოს ჩემპიონატი ორი გამარჯვებით დაიწყო. ჯერ პოლონელი ლუკაშ გორალი ჩამოიცილა, მერე ავსტრიელი ფარზად ტარაში და მეოთხედფინალშიც გავიდა, მაგრამ ირანელ სეიედ მუჰამედთან ვეღარას გახდა, რომელმაც ჩემპიონობაც იზეიმა. თან ფინალში ამერიკელ მეტოქეს, მაიკ ზადიკს მოუგო. პოღოსიანმა კი ვერც რეპეშაჟში იყოჩაღა.

დღეს საჭიდაოდ ოთარ თუშიშვილი (66კგ), გელა საღირაშვილი (74კგ) და რევაზ მინდორაშვილი (84კგ) გავლენ. ზაზა ოურმანიძის ამ სამეულიდან ორმა შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალი მოიპოვა. თუშიშვილმა — ბრინჯაო, მინდორაშვილი კი გუანჯოუში მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონის სახელითაა ჩასული.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველო ელიტას მიუახლოვდა

გასულ უქმეებზე გამართული დევისის თასის მატჩების შემდეგ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) გამოაქვეყნა ახალი სადევისთასო, ანუ ქვეყნების რეიტინგი, რომელშიც საქართველო წელს მოპოვებული სამი გამარჯვების (სამხრეთ აფრიკასთან, პოლონეთთან და უნგრეთთან) წყალობით არნახულად მაღალ, 41-ე ადგილზეა.

უნგრელებთან მატჩამდე ჩვენი ნაკრები კლასიფიკაციაში მე-60 იყო და ახლა, ერთბაშად 19 საფეხურით დაწინაურდა და ასეთი პროგრესით პირველ ასეულში შემავალი ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის.

ისიც სათქმელია, რომ ჩვენს, ანუ ევროაფრიკულ ზონაში საქართველო ოცდამეორეა და მცირედით ჩამორჩება მაროკოს, რომელიც ჩვენი ნაკრებისგან განსხვავებით ზონის პირველი ჯგუფიდან მეორეში დაქვეითდა.

რეიტინგს სათავეში კვლავაც დევისის თასის შარშანდელი გამარჯვებული ხორვატია უდგას, თუმცალა ეს დროებითი ამბავია და დეკემბრის პირველ რიცხვებში, როდესაც დევისის თასის წლევანდელი გათამაშების ფინალი გაიმართება, ხორვატებს ამ ფინალის გამარჯვებულები, ან რუსები, ანაც არგენტინელები გადაასწრებენ.

1	(1)	ხორვატია	23045,6
2	(4)	რუსეთი	21723,8
3	(6)	არგენტინა	21333,8
4	(2)	ესპანეთი	17237,5
5	(3)	ავსტრალია	15750,0
6	(5)	აშშ	13250,0
7	(7)	სლოვაკეთი	10251,0
8	(10)	საფრანგეთი	8125,0
9	(9)	ბელარუსია	6698,1
10	(11)	შვეიცარია	4929,7
11	(10)	ჩილე	4022,5
12	(14)	შვედეთი	4000,0
13	(13)	რუმინეთი	3368,8
14	(12)	ჰოლანდია	3195,3
15	(17)	ჩეხეთი	3000,0
16	(21)	ბელგია	2956,3
17	(16)	გერმანია	2846,9
18	(15)	ავსტრია	2810,0
19	(18)	ტაილანდი	2140,0
20	(19)	სერბეთი	1963,8
23	(23)	იტალია	1692,5
26	(31)	ბრიტანეთი	1337,5
34	(30)	ლუქსემბურგი	997,8
39	(44)	პორტუგალია	816,3
40	(34)	მაროკო	625,5
41	(60)	საქართველო	631,3

ქართველთა აშლანდოზა კვალიფიკაციაში დასრულდა

სალომე დევიძე

ბათუმში მიმდინარე 25 ათასიანი ტურნირის გარდა, ამ კვირაში ქართველი ქალები კიდევ ორ შეჯიბრში მონაწილეობენ — იტალიურ ბიელასა და ამერიკულ აშლანდში. ორივე ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია, ოღონდ იტალიაში შეჯიბრი თიხაზე ტარდება, ხოლო ამერიკაში — ჰარდზე.

გუშინდელ „სარბიელში“ ვიუწყებოდით, რომ ბიელას ტურნირის ძირითად ბადეში საქართველოს პირველმა ჩოგანმა მაკა ჩახნაშვილმა უნდა ითამაშოს, ხოლო აშლანდის საკვალიფიკაციო ეტაპზე სოფო მელიქიშვილი ასპარეზობს. როგორც დაზუსტების შემდეგ შევიტყვეთ, ბიელაშიც და აშლანდშიც მაკასა და სოფოს გარდა, კიდევ თითო ჩვენებურია — იტალიური ტურნირის ორგანიზატორებმა 16 წლის ოქსანა კალაშნიკოვას მისცეს „ვაილდ ქარდი“, ხოლო ამერიკაში მელიქიშვილის დარად სალომე დევიძეც კვალიფიკაციიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას.

საბოლოო ჯამში საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევა ვერც მელიქიშვილმა მოახერხა და ვერც დევიძემ, თუმცალა მიზანთან ახლოს ეს უკანასკნელი უფრო იყო.

მელიქიშვილმა პირველ წრეში ავსტრალიელ ნიკოლ კრისთან გამარჯვების შემდეგ 3:6 3:6 წააგო რეიტინგში მასზე დაბლა, 375-ე ადგილზე მყოფ უკრაინელ ტატიანა ლუშინსკასთან, ხოლო დევიძემ ორი წრე გაიარა და მესამეშიღა დამარცხდა. თავდაპირველად სალომემ, ვინც მიმდინარე კლასიფიკაციაში 620-ეა, 17 წლის ამერიკელს, რეიტინგის 495-ე ნომერს ალექსა გლეტჩს მოუგო 6:3 6:3. მერე ქართველმა კვალიფიკაციის პირველ ნომერს, რეიტინგში 249-ე ადგილზე მყოფ 16 წლის რუმინელ მიქაელა ბუზარნესკუს ავჯობა ასევე ორ სეტში — 7:5 7:5 და მესამე წრეში კი, უკვე ძირითად ბადეში მოსახვედრ, უაღრესად დაძაბულ მატჩში 6:2 6:7 4:6 წააგო შვედ მიქაელა იოჰანსონთან, ვინც კლასიფიკაციაში 441-ე ადგილზე გახლავთ.

რაც შეეხება ბიელას ტურნირს, იქ ჩახნაშვილი პირელ წრეში რეიტინგის 180-ე ნომერს, 21 წლის რუმინელ სიმონა ლულია-მატეის ხვდება, ხოლო კალაშნიკოვას მეტად ძლიერი მეტოქე ერგო კლასიფიკაციის 108-ე საფეხურზე მყოფი ჩეხი სუსანა ონდრასკოვას სახით, ვინც ტურნირზე მე-5 ნომრად არის განთესილი.

ბათუმის ღია პირველობა
ჰარდი. საპრიზო 25 000 $

პირველი წრე

ვარვარა გალანინა (რუსეთი) — **მარია გავეროვა** (რუსეთი) 6:1 6:2; **ოქსანა ტეპლიაკოვა** (უკრაინა) — **რია დოერნემანი** (გერმანია) 7:5 6:7 (2:7); **ავინა რახიმი** (ყახეთი) — **ელინა ჰასანოვა** (აზერბაიჯანი) 6:2 6:2; **ეკა გორგოძე** (საქართველო) — **იანა ლევჩენკო** (უკრაინა). 7:5 6:4; **სტელა მენა** (7, იტალია) — **იულია კალაბინა** (რუსეთი) 6:4 1:6 6:2; **ევგენია გრეგენიუკი** (6, რუსეთი) — **ეკატერინა დრანეტსი** (რუსეთი) 6:2 6:2; **სოფო შაფათავა** (საქართველო) — **ლიუდმილა ნიქოიანი** (სომხეთი) 6:1 6:2; **მარინა შამაიკო** (რუსეთი) — **მანანა შაფაქიძე** (საქართველო) 6:0 6:7 (7:9) 6:0

ბათუმის ქალთა ღია პირველობა წვიმის გამო ერთი დღის დაგვიანებით დაიწყო. გუშინ პირველი წრე სანახევროდ ჩათამაშდა და რვა მეთექვსმეტედფინალისტის ვინაობა გაირკვა. კორტზე სამი ქართველიც გავიდა. „ბორჯომის თასის ფინალისტმა ეკა გორგოძემ თავისზე ბევრად გამოცდილ უკრაინელ იანა ლევჩენკოს ორ სეტში მოუმთავრა საქმე — 7:5 6:4. „იან ჰომერის თასის“ ნახევარფინალისტმა სოფო შაფათავამ კი სომეხ ლიუდმილა ნიქოიანს ზედმეტი ნერვიულობის გარეშე დაახრევინა ჩოგანი — 6:1 6:2. შარშანდელი თბილისურ: ბათუმური ტურნირების აღმოჩენამ მანანა შაფაქიძემ კი ჩავლილი ორი პირველობის დარად, ვერც ამჯერად ითამაშა ჩვეულად — რუს მარია შამაიკოს ერთი სეტი უმძიმეს ბრძოლაში კი მოუგო, მაგრამ სულ ეს იყო. დანარჩენ ორ სეტში ქართველმა ერთი გეიმიც ვერ აიღო.

გიორგი მურვანიძე
ბათუმიდან

ორი წინ, ერთი უკან

ეკა გორგოძე

გურამ დოლიძეს ფოტო

მიურეიმ აურია: კორტამდე რინგზე შეიარა

კაცები
ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 525 000 $

პირველი წრე

ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — **ენდი მიურეი** (4, ბრიტანეთი) 6:4 6:2; **პარალდორნ შრიჩაპანი** (8, ტაილანდი) — **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი) 6:1 6:4; **იარკო ნიემინენი** (5, ფინეთი) — **ედგარდო მასა** (არგენტინა) 6:7 6:3 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (3, აშშ) — **მარიან ჩილიჩი** (ხორვატია) 6:1 6:2; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — **ჰიუნ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) 6:1 6:4; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **კევინ კიმი** (აშშ) 2:6 6:1 6:4; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — **სატოში ივაბუჩი** (იაპონია) 6:4 6:2

კაცები
პალერმო. იტალია. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

პირველი წრე

ფერნანდო ვერდასკო (1, ესპანეთი) — **დანიელე ბრაჩიალი** (იტალია) 5:7 6:4 6:4; **ჟილ სიმონი** (3, საფრანგეთი) — **ანდრეა სეპი** (იტალია) 6:0 6:7 6:2; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — **ოლივიე პატიენსი** (საფრანგეთი) 7:5 3:6 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — **პოლანრი მატიო** (5, საფრანგეთი) 3:6 6:2 6:3; **ნიკოლას ალაგმრო** (4, ესპანეთი) — **ოლივიე მარახი** (ავსტრია) 6:1 6:4

კაცები
მუმბაი. ინდოეთი. ჰარდი
საპრიზო 380 000 $

პირველი წრე

ტომი რობრედო (1, ესპანეთი) — **ალუხანდრო პეია** (ესპანეთი) 6:4 6:2; **რაფაელ დელგადო** (პარაგვაი) — **დავიდ სანგინეტი** (იტალია) 6:3 2:1 (უარი); **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) 6:3 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი** (4, რუსეთი) — **აკაშ ვაგეში** (ინდოეთი) 6:2 7:5; **ვესლი მუდი** (6 სამხრეთ აფრიკა) — **როჰან ბაპანა** (ინდოეთი) 3:6 7:6 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (3, ჩეხეთი) — **ლუკაშ კუბოტი** (პოლონეთი) 6:2 6:2; **შტეფანი კუბეკი** (ავსტრია) — **ხუან მონაკო** (7, არგენტინა) 7:6 6:4

ამ კვირაში მიმდინარე და უახლოეს კვირებში გასამართი ტურნირები სარეიტინგო ქულების დაგროვების პრიზმაში რომ განიხილება, უეჭველია. ახლა ხომ სეზონის უმთავრესი ინტრიგა წლის შემაჯამებელ ტურნირებისთვის საუკეთესო რვა ჩოგბურთელის გამოვლენაა.

წარმატებით დაიწყო ტაილანდური კამპანია შანხაიში წასასვლელად მებრძოლმა ჯეიმს ბლეიკმა. ბანგკოკში მესამე ნომრად განთესილმა ამერიკელმა ახალგაზრდა ხორვატ მარიან ჩილიჩს საკმაოდ ადვილად გადაურბინა.

ქალები
ლუქსემბურგი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

პირველი წრე

კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — **მარია ელენა კამერინი** (იტალია) 6:4 6:1; **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) — **მარი პირსი** (8, საფრანგეთი) 6:3 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (5, იტალია) — **მიქაელა კრიაჩეკი** (ჰოლანდია) 6:4 6:3

მეორე წრე

დინარა საფინა (4, რუსეთი) — **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) 6:3 7:5; **კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) — **კარინ კნაპი** (იტალია) 6:4 6:4

ქალები
გუანჯოუ. ჩინეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 175 000 $

პირველი წრე

ნა ლი (2, ჩინეთი) — **გალინა ვოსკობოევა** (რუსეთი) 6:3 6:4; **ელენა ვესნინა** (7, რუსეთი) — **კაია კანეპი** (ესტონეთი) 6:1 3:6 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (3, რუსეთი) — **შუაი ჟენგი** (ჩინეთი) 3:6 7:5 6:0; **ელენა იანკოვიჩი** (1, სერბეთი) — **მენგ იუანი** (ჩინეთი) 6:0 6:2

მეორე წრე

ალისია მოლიკი (ავსტრალია) — **ლურდეს დომინგეს ლინო** (5, ესპანეთი) 7:6 6:0; **ანაბელ მედინა გარიგესი** (4, ესპანეთი) — **ჟინგ რენი** (ჩინეთი) 6:0 6:1

ქალები
სეული. სამხ. კორეა. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

პირველი წრე

მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — **ჯაროლინ ვოზნიაკი** (დანია) 6:3 6:2; **სანია მირზა** (ინდოეთი) — **იე-რა ლი** (სამხ. კორეა) 3:6 6:0 6:0; **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) 6:4 6:3

მეორე წრე

აკიკო მორიგამი (იაპონია) — **აიკო ნაკამურა** (იაპონია) 7:5 6:2; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — **ვერა დუშევინა** (რუსეთი) 6:4 6:0; **ვერა ზვონარიოვა** (5, რუსეთი) — **ემა ლეონი** (ფინეთი) 6:4 6:0

სამაგიეროდ, წარუმატებელი აღმოჩნდა ტაილანდური დებიუტი ენდი მიურეისთვის. არადა, თინეიჯერი შოტლანდიელი აქ კარგად გამოსვლას გეგმავდა, რადგანაც საჩოგბურთო სამყაროს პირველად სწორედ ბანგკოკში, შარშან გააცნო თავი, როცა ფინალში გავიდა და როჯერ ფედერერს სერიოზული ბრძოლაც გაუმართა.

თუმც მიურეი წლეულს სხვადასხვა აზიურ გასართობს გადაჰყვა — კერძოდ, ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონ სომრუკ კუმსინგისგან ტაილანდური კრივის გაკვეთილები მიიღო და მისგან ალბათ საკმაოდ მიბეგვილმა პირველივე წრეში დაყარა ფარ-ხმალი. თანაც ენდიმ ვეტერან თანამემამულე ტიმ ჰენმანთან წაგო, მაშინ, როცა მათ წინა სამ შეხვედრაში მიურეიმ იმარჯვა. ახლა კი ჰენმანმა მხოლოდ თამაშზე მოახდინა კონცენტრაცია და, როგორც იქნა, დაამარცხა შოტლანდიელი.

კარგად დაიწყო მასპინძელთა ფავორიტმა პარადონ შრიჩაპანმაც, რომელიც შშობლიურ კედლებში გამარჯვებაზე ოცნებობს.

პალერმოში წლის თითქმის უკანასკნელი სათიხნარო ტურნირი მიმდინარეობს და ყველა მოცლილმა ესპანელმა თუ არგენტინელმა სწორედ სიცილიას მიაშურა. ერთი კია, მომავალ წელს მათ ალბათ დიდი იმედგაცრუება ელით, ვინაიდან, სავარაუდოდ, პალერმოში ტურნირი აღარ გაიმართება.

მუმბაიში კი ტომი რობრედომ დაიწყო წარმატებული წინსვლა და თანამემამულე პეია დაამარცხა. შემდეგ წრეში აგრეთვე გავიდნენ. დმიტრი ტურსუნოვი და ვესლი მუდი. სამაგიეროდ, ინდოეთს დაეშმეიდობება კარლოს მოია — ვეტერან ესპანელს სულ უფრო უჭირს თამაში, მაგრამ კორტს მაინც ვერ ელევა.

ლუქსემბურგს პირველივე წრეში გამოეთხოვა მარი პირსი. გასულ სეზონში მოულოდნელად გამოცოცხლებული ფრანგი წლეულს ან ლაზარეთშია, ან კიდევ ტურნირებს თავიდანვე ემშვიდობება და ალბათ დროა, პენსიაზე იფიქროს.

ჩოგბურთში ძობრუნების შემდეგ მესამე ტიტულისკენ მიისწრაფის მარტინა ჰინგისი. შვეიცარიელმა გასულ კვირას კალკუტაში იმარჯვა და წესით, სეულშიც არ უნდა გაუჭირდეს ზეობა. ამჯერად მარტინამ ამომავალ ვარსკვლავ კაროლინა ვოზნიაკს ჩაუტარა დიდი ჩოგბურთის გაკვეთილი, რომელიც ნორჩ დანიელს, ალბათ კიდევ დიდხანს დაამახსოვრდება.

ტურნირის მეორე ნომრის, მაშა კირილენკოს გამგდები ვერა დუშევინა კი მალევა გაუყენეს თანამემამულის გზას — ეს მისია ბერძენმა დანილიდუმ იკისრა და პრინციპში, სერიოზული მოულოდნელობაც გამოაცხო.

კახა ლოგაშვილი

მედლებიანი კაცსაო...

ასე არც ჯვერცხი გვექნება და არც ქათამი

გუშინ საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში უნდა შემდგარიყო ორიოდე კვირაში დასაწყები ვაჟთა მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მწვრთნელთა შეკრება.

მათ უნდა წარედგინათ თავიანთი გუნდების წინასწარი განაცხადები და ერთ-ორ სადავო სატრანსფერო საკითხსაც საბოლოოდ დასმოდა წერტილი, მაგრამ ჩემპიონ „სტუ-შევარდენისა" და ვერცხლის პრიზიორ „ქარიშხალას" წარმომადგენლები დათქმულ დროს ოფისში ვერ მივიდნენ და ამიტომ მთავარი — წინა ეროვნული პირველობის საუკეთესო მოთამაშის, გიორგი წივწივაძის „შევარდენიდან" ხელბურთის კლუბ „თბილისში" გადასვლის საკითხი ჯერაც გადაუწყვეტელია.

ჩემპიონებს „წივწივა" არ ეთმობათ, მაგრამ თავად გიორგის „თბილისში" უნდა თამაში, მით უმეტეს, ტექნიკოსებთან კონტრაქტი აღარ მაკავშირებსო.

ცნობისთვის, ბრინჯაოს მედალოსან „თბილისს" უკვე შეემატნენ მამულელები უჩა მაისურაძე, აკაკი ყაველაშვილი და შევარდენთა მეკარე კორნელი ანდრიაძე. „ხელბურთის კლუბი თბილისი" ერთადერთია, ვინც წლეულს საქართველოდან ევროსარბიელზე გამოვა, კერძოდ, „ჩელენჯ ქაფის" გათამაშებაში. ჩვენების მეტოქეს 10 ოქტომბრის წილისყრა გაარკვევს.

თბილისელები შემადგენლობის მხრივ იმდენად გაძლიერდნენ, რომ 2006-07 წლების ეროვნულ პირველობაში ორი გუნდით ჩაებმებიან. მეორეს „თბილისი 2" ან „იმედი" ერქმევა.

„სტუ-შევარდენი" და „თელავი" გაერთიანებას აპირებდნენ და საქმეც პრაქტიკულად მოგვარდა, თუმც ეროვნულ ასოციაციაში ოფიციალური ცნობა ჯერაც არ მისულა.

როგორც შევიტყვეთ, დავალიანების გამო მოკვეთილ „ქუთაისსაც" მოუნდომებია ეროვნულში თამაში, მაგრამ ეს ამბავიც ოფიციალურ განცხადებამდე არ მისულა.

ცხადია, პრობლემატურია ფინანსური მხარეც. ხუთგუნდა ტურნირის ჩატარებას თავის პლეიოფით და პრიზ-მედლებიანად თითქმის 12 ათასი ლარი დასჭირდება. ნაწილს სპორტის დეპარტამენტი გაიღებს, დარჩენილი ნაწილი კი გუნდებმა უნდა გადაიხადონ. შეძლებენ კი? წინა წლების მწარე გაკვეთილი, რომ იტყვიან, სახეზეა.

ეროვნული ჩემპიონატი ამჯერად განსხვავებული რეგლამენტით ჩატარდება. ტურობრივი სისტემის ნაცვლად გუნდები კვირაში მხოლოდ თითო თამაშს ჩაატარებენ. ოთხწრიანი ტურნირის ბოლოს კი გაისად გაზაფხულზე ნახევარფინალური და სამედლო სერიები გაიმართება.

ნეტა ვცდებოდეთ, მაგრამ გვგონია, რომ ჩვენი მედლე-მეხვალეობით, ეს ყველაფერი დათქმულ საბოლოო ვადამდე — პირველ ოქტომბრამდე ვერ მოგვარდება და ჩემპიონატი სავარაუდო 19-20 ოქტომბერს იქნებ ვერც დაიწყოს.

ცუდადაა საქმე ვაჟთა ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებითაც. დღემდე დაუმტკიცებელია გუნდის ხელმძღვანელობა. არადა, ოქტომბრის ბოლოს უკვე ევროპის ჩემპიონატისწინა პირველი შეკრებაა ჩასატარებელი. ეს ის „ფანჯარაა", როცა ყოველი კლუბი ვალდებულია, მოთამაშე თავის ეროვნულ ნაკრებში სავარჯიშოდ გაუშვას.

გვეეჭვება, უთავბოლობისა და უფულობის გამო ჩვენი ხუთი-ექვსი ლეგიონერის ჩამოყვანა მოხერხდეს და შედეგად, საქართველოს ნაკრების აქაურ კანდიდატთა მორიგი, ვითომ შეკრება შეგვრჩება ხელში. ასოციაციის ხელმძღვანელობამ ენერგიულად უნდა გაიქნიოს ხელი, თორემ იანვარში ევროშესარჩევ ტურნირისთვის სამონაწილეო თითქმის 300 000 ლარი ჯერ მხოლოდ სიტყვიერად არსებობს.

ისიც უკვე საეჭვოა, რომ მოხერხდება ამხელა თანხის შოვნა და ბოლოს ისევ ისე გამოვა, როგორც წინა შესარჩევ ციკლებში, ანუ ოღონდ მონაწილეობა მივიღოთ და საშინაო მატჩებსაც სტუმართა მოედნებზე ჩავატარებთ. ამით კი პლეი ოფში გასვლის ამყამინდელი ჩინებული შანსი ხელიდან გაგვიფრინდება.

გია ახალაძე

ივან ბასო 2004 წლის „ტურ დე ფრანსზე"

მჯერა, არ მჯერა

ბასო გაამართლეს და არ გაამართლეს

იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ ყველა ბრალდებას უხსნის დოპინგის ხმარებაში ეჭვმიტანილ ივან ბასოს და წყვეტს ნებისმიერ პროცესს ამ ბრალდებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი „ჯირო დიტალიას" ტრიუმფატორსა და შარშანდელი „ტურ დე ფრანსის" ვიცეჩემპიონზე ეჭვი მას შემდეგ გაჩნდა, რაც გაირკვა, რომ ბასოს რაღაც კავშირი ჰქონდა სადოპინგო საქმეებში სკანდალურად ცნობილ ესპანელ ექიმ ფუენტესთან და ამის გამო დანიურმა CSC-მ თავისი ლიდერი წლევანდელი „ტურის" დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მოხსნა რბოლიდან. მერე ბასო აღარც „ვუელტაზე" დაუშვეს და თავად მრბოლმა კი არაერთგზის განაცხადა, რომ უდანაშაულოა და მის ქომაგებს სანერვიულო არაფერი აქვთ.

ისე, ბასო დოპინგზე არც ჩავარდნილა, მაგრამ ეჭვები იყო, საქმეც აღიძრა და აი, იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა, ვისაც იქაური კანონებით ეხება ასეთი საქმეების გამოძიება, სამხილების არარსებობის გამო ეს საქმე დახურულად გამოაცხადა.

იტალიის ოლიმპიური კომიტეტისგან განსხვავებული აზრი აქვს UCI-ს (ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაცია) პრეზიდენტს პეტ მაკკუაიდს, რომელმც იტალიელთა გადაწყვეტილებას სასაცილო უწოდა და განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს საარბიტრაჟო სასამართლოში.

„საკვირველია, რომ იტალიის ეოკ-მა ბასო უდანაშაულოდ ცნო მაშინ, როდესაც გამოძიება ჯერ არ დასრულებულა" — ბრძანა მაკკუაიდმა.

გია მუჯირი

შერისხული კაცის იმედი

კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი, რომელსაც 1988 წელს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ჩემპიონის ტიტული დოპინგის მიღების გამო ჩამოართვეს, იქადნება, იმ ოქროს მედალს დავიბრუნებო.

მაშინ ბენ ჯონსონს ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად მსოფლიოს რეკორდსმენის სახელიც ჩამოართვეს და მძლეოსნობიდანაც მოკვეთეს. ახლა ეს შერისხული სპორტსმენი ამბობს, მაშინ დოპინგ-ტესტის შედეგები ჩემმა არაკეთილმოსურნეებმა შემიცვალეს და ანალიზში აკრძალული პრეპარატები შემირიესო.

„ახლა მე უკვე ვიცი სიმართლე, ვიცი, ვინ მომიწყო ეს ყოველივე და, დარწმუნებული ვარ, რომ ერთხელაც იქნება, დამიბრუნებენ იმ ოქროს მედალს. ვამყობ იმით, რასაც სეულში მივაღწიე და გჯერდებით, რომ იმდროინდელი ამბების დაწვრილებით დეტალებს საზოგადოება ერთი წლის მერე შეიტყობს" — თქვა „რადიო კანადისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბენ ჯონსონმა, თუმც საეჭვოა, რომ 18 წლის მერე ამ შერისხულმა კაცმა რაიმე დაამტკიცოს და მედალი დაიბრუნოს.

ავთანდილ ბუკვიშელი

გადარჩენენ!

მძლეოსნობა სპორტის ერთ-ერთი უხიფათო სახეობაა. აქ იშვიათად შავდებიან სპორტსმენები, მაგრამ მძლეოსნები ზოგჯერ უნებლიედ სხვებს აყენებენ ტრავმებს, რომლებიც ტრაგედიითაც თავდება. ეს ითქმის ბადროს, ურობა და შუბის ტყორცნასა და ბირთვის კვრაზე. ყოფილა შემთხვევა, როცა ურო ტრიბუნაზე მჯდომს მოხვედრია და მოუკლავს. შუბიც ჩასობია მავან უბედურს ზურგში თუ მკერდში...

ერთი ასეთი შემთხვევა გუშინწინაც მოხდა და ერთი კვირის წინათაც. ჯერ ნორგვეგიის ქალაქ ლევანგერში, სადაც ახალგაზრდული შეჯიბრება მიმდინარეობდა, სპორტსმენის ნატყორცნი შუბი შეჯიბრების მომსახურე ერთ-ერთ ფუნქციონერს თავში მოხვდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ის 70 წლის ბერიკაცი ცოცხალი გადარჩა იმის წყალობით, რომ სასწრაფო დახმარება იქვე აღმოუჩინეს და უმალ საავადმყოფოშიც გააქანეს, სადაც 30 ნაკერი დაადეს. ამ დაშავებულის ბედად, შუბი პირდაპირ თავში არ ჩაესო. სულ ცოტაც, რაღაც ერთი სანტიმეტრი და იგი სულს განუტევებდა...

გუშინწინ მსგავსი ამბავი სან პაულუში მიმდინარე ბრაზილიის ჩემპიონატში განმეორდა. შუბოსანმა სპორტსმენმა მსაჯი ქალი უნებლიედ ფეხში დაჭრა. დაშავებული უმალ საავადმყოფოში გააქანეს და ოპერაცია გაუკეთეს.

როგორც მსაჯთა ბრიგადის თავმჯდომარე რისიერ დეზენი ამბობს, მსგავსი რამ ბრაზილიის მძლეოსნობის ისტორიამ აქამდე არ იცოდა.

„დაშავებული არბიტრი უყურადღებო გამოდგა. მოთელვისას იგი შუბის ასაღებად გაემართა, თავი დახარა და..."

არადა, წესით და რიგით, მსაჯს სარბიელზე თავაწეული სიარული მართებდა.

ავთანდილ ბუკვიშელი

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე

ელისტა, რუსეთი, 23 სექტემბერი-12 ოქტომბერი

მძიმე ზავი

მეოთხე პარტია 54-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. რუსი ვლადიმირ კრამნიკი კვლავაც ორი ქულით უსწრებს ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს და კარგი თამაშის წყალობით მეტოქეს მიახლოების საშუალებას არ აძლევს.

„სატურნირო მდგომარეობა ჩემთვის ჯერჯერობით მისაღებია" — აცხადებს კრამნიკი და გულშემატკივრებს მომდევნო თამაშებში მოგებას ჰპირდება.

რთულადაა ტოპალოვის საქმე, დარჩენილ რვა პარტიაში მას ორქულიანი მინუს ბალანსის აღმოფხვრა ესაჭიროება, რაც კრამნიკთან ერთობ გაუჭირდება.

პარტია ტოპალოვმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, რასაც კრამნიკმა კი თავის საყვარელი სლავური დაცვა დაუპირისპირა. რუსმა იერიშებს მიმართა, დაფის შუა ნაწილში მსუბუქი ძალა გამოუშვა და ლაზიერის ფლანგიდან თეთრებს თავს დაესხა. ტოპალოვმა მე-12 სვლაზე როქი გააკეთა, რუსის შემოტევა მოიგერია და საპასუხოდ თვითონაც დაარტყა. პარტია ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა, მოჭადრაკეებმა ცენტრში

ვესელინ ტოპალოვი შავ დღეშია

მძიმე ფიგურები გამოიყვანეს და მანევრირებას შეუდგნენ. მეტოქეებმა დაცვაში ზუსტად ითამაშეს, ერთმანეთს ხეირიანი იერიშების განხორციელების საშუალება არ მისცეს და ზავი გამოაცხადეს.

დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ, ხვალ კი კრამნიკი თეთრებით მეხუთე პარტიას დაიწყებს.

ლაზა გეგეჭკორი

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. II ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი

ლევსკი 1:3 ჩელსი

0:1, 0:2, 0:3 დროგბა (39, 52, 68), 1:3 ოგნიანოვი (89)

ლევსკი: გ. პეტკოვი, მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ვაგნერი, ტელკისკი (გ. ივანოვი 67), ბორიმიროვი (კოპრივაროვი 79), ბარდონი (ოგნიანოვი 71), ერომოიგბე, ს. ანგელოვი, იოვოვი

მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, მიკელი (კალუ 63), ესიენი, ბალაკი, ლამპარდი, შევჩენკო (რაიტ-ფილიპსი 83), დროგბა (რობენი 70)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: მიკელი, ანგელოვი

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

42 226 მაყურებელი

ვერდერი 1:1 ბარსელონა

1:0 პუიოლი (56ს.კ.), 1:1 მესი (89)

ვერდერი: ვიზე, ბრიცი, მერტესაკერი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ბაუმანი, ბოროვსკი, დიეგო, კლოზე (კლასნიჩი 90), ჰუნტი (ოვომოიელა 90)

მწვრთნელი: თომას შაფი

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, ტურამი, სილვინიო (ძამბროტა 83), ინიესტა, მოტა, დეკუ, ჟიული (მესი 65), რონალდინიო, ეტოო (გუდიონსენი 65)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ფრინგსი, ნალდო, ბაუმანი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

37 000 მაყურებელი

ჩელსი	2	2	0	0	5:1	6
ბარსელონა	2	1	1	0	6:1	4
ვერდერი	2	0	1	1	1:3	1
ლევსკი	2	0	0	2	1:8	0

B ჯგუფი

სპარტაკი 1:1 სპორტინგი

1:0 ბოიარინცევი (5), 1:1 ნანი (59)

სპარტაკი: კოვალევსკი, ფირანეკი, ჟედერი, შტრანცლი, შიშკინი, ბისტროვი, რ. კოვაჩი, ტიტოვი, მოცარტი (რებკო 80), ბოიარინცევი, პავლიუჩენკო (ოვუსუ-ბბეიე 80)

მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი

სპორტინგი: რიკარდუ, მიგელ გარსია (ბარბოსა 46), ტონელი (პარედესი 58), ანდერსონ პოლგა, მ. კანეირა, მუტინიუ, ველოზო, ნანი, ტელო, დიალო (ჟოაუ ალვეში 82), ლიდსონი

მწვრთნელი: პაულუ ბენტუ

გაფრთხილება: ტონელი, ველოზო, შტრანცლი

მსაჯი: მარტინ პანსონი (შვედეთი)

40 000 მაყურებელი

ინტერი 0:2 ბაიერნი

0:1 პიზარო (81), 0:2 პოდოლსკი (90)

ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, გროსო, ძანეტი, დაკური, სტანკოვიჩი (სოლარი 77), ფიგუ (მარიანო გონსალესი 67), კრესპო (ადრიანო 77), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი (შოლი 70), ოტლი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი, მაკაი (სანტა კრუზი 82), კ. პიზარო (პოდოლსკი 89)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ოტლი, სანიოლი, იბრაჰიმოვიჩი, მატერაცი, იბრაჰიმოვიჩი, შოლი

გაძევება: იბრაჰიმოვიჩი (58), გროსო (84)

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

42 000 მაყურებელი

ბაიერნი	2	2	0	0	6:0	6
სპორტინგი	2	1	1	0	2:1	4
სპარტაკი	2	0	1	1	1:5	1
ინტერი	2	0	0	2	0:3	0

C ჯგუფი

ბორდო 0:1 პსვ ეინდჰოვენი

0:1 ვაირინენი (65)

ბორდო: რამე, ჟემალი (ლასლანდი 89), ენრიკე, ენაკარხირე, ჟურიეტი (დალმა 74), ფობერი, ფერნანდო, მიკუ (შამახი 46), მავუბა, ჯენდელი, დარშევილი

მწვრთნელი: რიკარდო გომეში

პსვ ეინდჰოვენი: გომეში, კრომკამპი, ალექსი, სალსიდო, ლამეი, ე. მენდესი, სიმონსი, აფელაი (აისატი 72), ვაირინენი (ე. ადო 79), კონე, ტარდელი (ბეერენსი 84)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: კრომკამპი, სალსიდო, ვაირინენი

გაძევება: ლამეი (85)

მსაჯი: ოლეგარიუ ბენკუერენსა (პორტუგალია)

23 587 მაყურებელი

ლივერპული 3:2 გალათასარაი

1:0 კრაუჩი (9), 2:0 ლუის გარსია (14), 3:0 კრაუჩი (52), 3:1, 3:2 უმით კარანი (59, 65)

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, ფ. აურელიო, პენანტი (სისოკო 78), ჯერარდი, ხაბი ალონსო, ლუის გარსია, კუიტი (მარკ გონსალესი 66), კრაუჩი (ბელამი 90)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გალათასარაი: მონდრაგონი, ჯიჰანი (უმით კარანი 46), რ. სონგი, ტომაში, ორჰანი, საბრი, აიჰანი, ილიჩი, მეჰმეთი (ჰასან შაში 46), თურანი (მარსელო 86), ჰაქან შუქური

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: აიჰანი, ხაბი ალონსო, ჰასან შაში, ფინანი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

41 976 მაყურებელი

ლივერპული	2	1	1	0	3:2	4
პსვ ეინდჰოვენი	2	1	1	0	1:0	4
გალათასარაი	2	0	1	1	2:3	1
ბორდო	2	0	1	1	0:1	1

D ჯგუფი

შახტარი 2:2 ოლიმპიაკოსი

0:1 კონსტანტინუ (24), 1:1 ჰუბშმანი (34), 1:2 კასტილიო (68), 2:2 მარიკა (70)

შახტარი: შუსტი, სრნა, ჰუბშმანი, ლევანდოვსკი, რაცი, ფერნანდინიო, ტიმოშჩუკი, ელანო (ედსონი 77), მატუალემი, მარიკა (აგაპოვა 89), ბრანდაო (ვორობეი 76)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პანტოსი (რივალდო 85), კოსტულასი, ჟულიო სეზარი, ანატოლაკისი (პაცაფლესი 46), გეორგატოსი, კასტილიო, მარიჩი, სტოლტიდისი, ჯორჯევიჩი, კონსტანტინუ (ოკასი 90)

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

გაფრთხილება: მარიჩი, ლევანდოვსკი, პანტოსი, გეორგატოსი, ჰუბშმანი, ტიმოშჩუკი

მსაჯი: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

25 000 მაყურებელი

ვალენსია 2:1 რომა

1:0 ანგულო (12), 1:1 ტოტი (193), 2:1 ვილია (29)

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ანგულო, ალბელდა, ედუ, ვისენტე (გავილანი 90), ვილია (სილვა 72), მორიენტესი (რეგეირო 87)

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

რომა: დონი, პანუჩი, ფერარი, კიეუ, ტონეტო, კასეტი (ოკაკა-ზუკა 65), დ. პიზარო, დე როსი, პეროტა, აკვილანი (მონტელა 46), ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: აიალა, ალბელდა, ფერარი, დე როსი, პიზარო

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

41 000 მაყურებელი

ვალენსია	2	2	0	0	6:3	6
რომა	2	1	0	1	5:2	3
ოლიმპიაკოსი	2	0	1	1	4:6	1
შახტარი	2	0	1	1	2:6	1

AFP ლიზერუბულიდან

პიტერ ჰკრაუჩი 2

შავი ღრუბელი ლურჯ ცაზე

კოტდივუარელი ვარსკვლავის დიდიე დროგბას ჰეთ თრიქმა ამბიციურ „ჩელსის“ სოფიის „ლევსკისთან“, როგორც ინგლისელ ჟურნალისტებს სჩვევიათ თქმა, კომფორტული გამარჯვება მოუტანა. ვინძლო, დროგბასა და ჟოზე მაურინიუს გუნდისთვის ვითარება კიდევ უფრო კომფორტული ყოფილიყო, იმავ დროგბას სულ თავიდან ბურთი ძელისთვის რომ არ გაერტყა.

სოფიელებმა ბოლოს ერთი გოლი მაინც გაიტანეს, ეს მარიან ოგნიანოვმა შეძლო, მაგრამ საეჭვოა, ამას „ჩელსისთვის“ გუნება-განწყობა გაეფუჭებინა, მით უფრო, რომ A ჯგუფში მისმა კონკურენტებმა, „ვერდერმა“ და „ბარსელონამ“ ბრემენში ფრედ ითამაშეს ანუ ქულები დაკარგეს.

ისე, შეცვლაზე შესული ლიონელ მესი რომ არა, ვინძლო, „ჩელსის“ ასე არც გამართლებოდა და „ვერდერს“ სამი ქულა შეემატებინა. ყმაწვილმა არგენტინელმა დეკუს გონივრული პასი მიიღო და „არგენტინული“ მოძრაობით ბურთი ტიმ ვიზეს კარში შეაგდო. ამ გოლის წყალობით თასის მფლობელმა ლიგაში წაუგებელ შეხვედრათა რაოდენობა თხუთმეტამდე გაზარდა.

„ვერდერმა“ ანგარიში 56-ე წუთზე გახსნა, რაშიც მას „ბარსას“ კაპიტანი კარლეს პუიოლი დაეხმარა. პუიოლმა ბრემენელი აარონ ჰუნტის ჩაკიდებული ბურთი თავის მეკარე ვიქტორ ვალდესს გაუტანა.

B ჯგუფში კლაუდიო პიზაროსა და ლუკაშ პოდოლსკის გოლებით „ბაიერნმა“ სტუმრად, „სან სიროზე“ ცხრა კაცით დარჩენილი „ინტერი“ დაამარცხა. გაძევებები ტყუილად არ გვიხსენებია, სტუმრების უპირატესობა მხოლოდ მას მერე გამოიკვეთა, რაც მეორე ყვითელი ბარათის გამო მსაჯმა მოედნიდან ზლატან იბრაჰიმოვიჩი გააგდო — ეს 57-ე წუთზე მოხდა. რაც შეეხება გოლს, მისი გატანა მიუნხენის გუნდმა 81-ე წუთამდე ვერ შეძლო. ამ მომენტში მცველი ფაბიო გროსო შეცდა. გამოხდა ოთხი წუთი და გროსომ ვილი სანიოლისთვის იდაყვის მირტყმის გამო წითელი მიიღო, წერტილი კი პოდოლსკიმ დასვა — 0:2.

„ინტერის“ კაპიტნისთვის, არგენტინელი ხავიერ ძანეტისთვის ეს გახლდათ მე-500 შეხვედრა შავლურჯი მაისურით.

რაც შეეხებათ „ბაიერნისა“ და „ინტერის“ თანაჯგუფელებს, „სპარტაკსა“ და „სპორტინგს“, მათ მოსკოვში 1:1 ითამაშეს. „ლუჟნიკის“ არცთუ ხარისხიან მოედანზე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და ანგარიშიც გახსნეს, მაგრამ შესვენების შემდეგ ნანიმ გაათანაბრა.

C ჯგუფის ამბავი ასეა: „ლივერპულმა“ შინ მოუგო „გალათასარაის“. მასპინძელთა სამი გოლიდან ორი პიტერ კრაუჩმა გაიტანა და ამ ორიდან ერთი ჩინებული მაკრატელა გახლდათ. კრაუჩის ორ გოლს შორის ერთი ლუის გარსიამ შეაგდო, თუმცა სტამბოლელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ 0:3-ის წინააღმდეგ თითი არ მოკაკვეს და ორი გოლით გასცეს პასუხი პრემიერლიგის გუნდს.

ბორდოში კი „პსვ ეინდჰოვენის“ თავდამსხმელმა მიკა ვაირინენმა სტუმრებს გამარჯვება მოუტანა. ვაირინენის გოლის შემდეგ დარჩენილ 25 წუთში „ბორდომ“ ვეღარაფერი გააწყო, თუმცა საფინალო სასტვენამდე 9 წუთით ადრე ანგარიშის გათანაბრების საუცხოო შესაძლებლობა ჰქონდა.

85-ე წუთზე პსვ-ს მიხაელ ლამეი გაუძევეს. მან შეცვლაზე შესული მარუნე შამახის წინააღმდეგ იუხეშა.

ხოლო D ჯგუფში „ვალენსიამ“ შინ 2:1 დაამარცხა „რომა“. ეს გახლდათ წუხანდელ მატჩთაგან ალბათ ყველაზე ძალიანი საშემსრულებლო ხარისხისა, რომელშიც რომაელთაგან იუბილარმა, დღეს უკვე 30 წლის ფრანჩესკო ტოტიმ გაიტანა.

„შახტარმა“ და „ოლიმპიაკოსმა“ კი დონეცკში 2:2 ითამაშეს.

პაპუნა კედია

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოფრიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ბიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფრაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge